გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 58
(11 412)

25 – 27 ივლისი, 2000 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## თბილისის „დინამო" და სასამართლოსწინა აურზაური

იხ. მე-5 გვ.

თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა • ევროპის ჩემპიონატები

გამარჯვებული და პრიზიორები მწვრთნელთან ერთად „ლელოს" რედაქციაში



## ასმათ დიასამიძე სიდნეიში იასპარეზებს!

წლეულს ივნისის შუა რიცხვებში, როგორც ცნობილია, ანტალიაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, რომელსაც უნდა გამოევლინა დარჩენილი სიდნეის სამი ლიცენზიის მფლობელთა ვინაობა. დღემდე ჩვენ გვყავდა ორი ოლიმპიელი – ხათუნა ქვრივიშვილი და ხათუნა ფუტკარაძე, რომლებმაც ეს უფლება მოიპოვეს შარშან, ივლისში საფრანგეთის ქალაქ რიომში გამართულ მსოფლიოს მე-40 ჩემპიონატზე. დარწმუნებულები ვიყავით, რომ მათ შეუერთდებოდა ბათუმელი ასმათ დიასამიძე, რომელმაც მართლაც ბრწყინვალედ გადაწყვიტა ეს ამოცანა. მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიტა) ეს ცნობა ანტალიაში კი არ გამოაცხადა, არამედ შეჯიბრების ოქმების გულდასმით შესწავლის შემდეგ. ამას დასჭირდა ერთ თვეზე მეტი. და აი, ახლა სეოკ-ში მიიღეს ფაქსი, რომლიდანაც შევიტყვეთ, რომ 28 წლის აჭარელი სპორტსმენი ასმათ დიასამიძე მესამე ლიცენზიანტი გახდა. ამრიგად, საქართველოს სამი წარმომადგენელი – ხათუნა ქვრივიშვილი, ხათუნა ფუტკარაძე და ასმათ დიასამიძე – სიდნეის სარბიელზე იასპარეზებენ, როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში, რაკი გუნდი უკვე სრულად დაკომპლექტდა.

რუბენ კაცობაშვილი

## გულიანები ფულიანების წინააღმდეგ

ჩვენმა ჭაბუკმა ფალავნებმა, შეიძლება ითქვას, წარმატებით დაასრულეს ევროპის ჩემპიონატში გამოსვლა 18 წლამდე ასაკში მოასპარეზეთა შორის. მივიღეთ ინფორმაცია, რომ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ორი პირველი ადგილია მოპოვებული. 58 კგ. წონით კატეგორიაში უძლიერესის სახელი მოიპოვეს თბილისელმა ლაშა ლომაძემ (ეს სპორტსმენი ოზურგეთიდან გადმოვიდა თბილისში) და შალვა გადაბაძემ (76 კგ); მეორე პრიზიორი გახდა ბათუმელი ოთარ ფევაძე (69), მესამე იყო ასევე ბათუმელი (ორს) რამაზ დევაძე (100). ჩვენები ჯერ შინ არ

იხ. მე-7 გვ.




## ოლიმპიურ თამაშებს 52 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია, საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ბანკში გახსნა სპეციალური ანგარიში საქართველოს ოლიმპიელთა დასახმარებლად. ბანკის რეკვიზიტია: ბგბ მთაწმინდის ფილიალი. ა/ა №2700344, კოდი 220101666. სუბანგარიში 14700507 „ოლიმპიური თამაშები".

ოლიმპიურ თამაშებში სიდნეიში საქართველოს მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი ბრძანებს: „არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს".
არის თუ არა ასე? თამაშებამდე დიდი დრო აღარ რჩება. საყოველთაო ზრუნვა-ყურადღება კი, სეოკ-ის სპეციალური ანგარიშით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად არ იგრძნობა.

## სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

ეს სტრიქონები სიდნეის მოახლოებული თამაშების წინ იწერება. იწერება მძიმე გულით, გნებავთ, შიშით, იმის გამო, რომ ნაცვლად საყოველთაო სიხარულისა და აღტაცებისა, რასაც ყველა ქვეყნის ყველა ხალხებში იწვევს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა, მით უფრო საოცნებო წარმატებები, ჩვენი ქვეყნისა და ხალხისთვის ტანჯვად ქცეულა. დიახ, ტანჯვად, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და რაც უფრო მცირდება დროის მანძილი სიდნეიმდე, მით უფრო მტკივნეული ხდება ტანჯვის დღეები. ამ ოლიმპიურ ოთხწლეულში თამაშებისთვის მზადება – მონაწილეობა მხოლოდ სპორტის მუშაკების და სპორტსმენთა ყოველდღიური საზრუნავი იყო, ასეა ახლაც. შთაბეჭდილება შემზარავია: თითქოს მხოლოდ ამ ხალხის საჭიროსუფლოა ქართული სპორტი და მეტი არავის. არადა, 10-15 წლის ბავშვების გარდა, ალბათ ყველას კარგად ახსოვს რა ამაღლებული, საზეიმო განწყობით ვეგებებოდით ოლიმპიური თამაშების მოახლოებას, სპორტსმენებს და სპორტის მუშაკებს სახელმწიფო და საზოგადოებაც მხარში ედგა.

ახლა სხვა დროაო, იტყვის მავანი. გეთანხმებით, მაგრამ განა ნებისმიერ დროში არ იდგა და არ უნდა იდგეს ეროვნული ინტერესები ყველა ინტერესზე მაღლა? ვის მოუბრუნდება ენა და შემოგვედავება, რომ სპორტი, მისი აპოგეა – ოლიმპიური თამაშები, ნებისმიერი ერის თავმოწონების ფენომენი არ არის? ხანდახან სირცხვილის ალმური მოგედება კაცს, როცა არათუ შეიტყობ, არამედ პირდაპირ სულისშემძვრელად გრძნობ, რომ უზენაეს ეროვნულ ღირებულებათა შორის ოლიმპიური თამაშების მნიშვნელობაც გადავაფასეთ. აგერ, საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა საგანგებო ანგარიში გახსნა იმ იმედით, რომ ეგებ შეძლებულ ადამიანებში გამოიღვიძოს ეროვნულმა სიამაყემ და რაიმე გაიღოს მის, ანუ ისევ და ისევ დედასაქართველოს სახელის განსადიდებლად მსოფლიოს თვალწინ. თქვენც ნუ მომიკვდებით, ისინი სდუმან. თითქოს ეს

იხ. მე-2 გვ.

დასაწყისი იხ. „ლელო" №55-57.

## სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონი ხათუნა ფუტკარაძე შინ დაბრუნებისთანავე შეუდგა წინასაოლიმპიადო სამზადისს

მადრიდიდან დაბრუნებისთანავე იქ გამართული სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატის ლაურეატმა ხათუნა ფუტკარაძემ („ლელოს" წინა ნომერში შეცდომით მინიშნებული იყო ევროპის ჩემპიონატი – *რედ.*) თავის მწვრთნელ თამაზ ფუტკარაძესთან ერთად (იგი ნაკრების მწვრთნელიცაა) ბათუმს მიაშურა და უმალვე წინასაოლიმპიადო ვარჯიშს შეუდგა. მადრიდიდან დაბრუნებულებს, როგორც იტყვიან, კვალდაკვალ მიჰყვა ფოტორეპორტიორი ***ალექსანდრე კოტორაშვილი*** და ფოტორეპორტაჟი მოამზადა. ხათუნასთან ერთად მწვრთნელი ინტენსიურად ავარჯიშებს მშვილდოსნობაში კიდევ ერთ ბათუმელ ქალიშვილს ასმათ დიასამიძეს, რომელმაც ასევე მოიპოვა სიდნეიში ოლიმპიურ სასროლეთზე გამოსვლის უფლება.



ხათუნა ფუტკარაძე (წინა პლანზე) და ასმათ დიასამიძე ვარჯიშის წინ



ასმათ დიასამიძე (მარცხნივ) და ხათუნა ფუტკარაძე ვარჯიშის დროს



ფუტკარაძეების ოჯახში პატარა ციალა მომავალ ჩემპიონად იზრდება...

# ერთად გადავარჩინოთ!

## ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

ისეთი დრო დადგა, სხვებთან ერთად ჩვენც გაგვიჭირდა და არა მხოლოდ ეკონომიკურად. ჯერ კიდევ შემოგვრჩა იმედი, რომ ქვეყანას ეშველება და ამის გამოც არის, აქამდე ხმა არ ამოგვიღია.

მაგრამ, ბატონო პრეზიდენტო, ამჯერად აუცილებლად მივიჩნიეთ ჩვენი ხმა მოგაწვდინოთ ერთ მეტად მტკივნეულ პრობლემაზე. საქმე ეხება სპორტული ბაზების, ე.წ. „პრივატიზაციას", ანუ მათ გადაკეთებას და განადგურებას. ამ მხრივ კატასტროფული ვითარებაა თბილისში. ჩვენი ეროვნული სიამაყე — ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონი ბაზრობად გადააქციეს. უნიკალური ველოდრომი — სასაფლაოდ, სტუდქალაქის საფეხბურთო მინდორზე კი კორპუსები წამოჭიმეს.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ახალი ფაქტი. ვაკის საცურაო აუზის (ერთადერთი დახურული აუზია ქვეყანაში) წინ მავანთ მაღლივი საცხოვრებელი კორპუსის აშენება განუზრახავთ და ქალაქის მერიის ნებართვაც მიუღიათ. პროექტით, კორპუსი ზედ აუზის წინ, რამდენიმე მეტრში უნდა აშენდეს, რაც ყოვლად დაუშვებელია — განადგურდება გამწვანება, შეიზღუდება აუზის წინა სივრცე, დამახინჯდება საერთო ხედი და ამ არქიტექტურულ „შედევრში" მთლიანად დაიფარება თვით საცურაო აუზის ფასადი.

ჩვენი არაერთი ცდა პროექტის გაუქმებისა, უშედეგოდ დამთავრდა. ჯერჯერობით არც პრესაში გამოქვეყნებულ იმ მასალებს მოჰყოლია შედეგი, სადაც ერთმნიშვნელოვნად დაგმობილია ეს ბარბაროსული და, პირდაპირ უნდა ითქვას, თავხედური პროექტი. ბატონო პრეზიდენტო! ასეთი უსამართლობა, „კანონიერი უკანონობა" და ფულით გათამამებულ ადამიანთა საქციელი გვაიძულებს მოგმართოთ თქვენ, რათა დროზე აღიკვეთოს მშენებლობა, რომელსაც, როგორც დავრწმუნდით, „კრიშები" არ აკლია. გთხოვთ პირადად ჩაერიოთ ამ საქმეში და გადაარჩინოთ უნიკალური საცურაო აუზი.

მიკრორაიონის მოსახლეობამ აქამდე ორჯერ შეაჩერა მშენებლობის დაწყება. თუ საჭირო გახდა, კვლავაც მოვაწყობთ საპროტესტო აქციებს და პიკეტს, რათა მავანთა „მადა" დავაცხროთ და დავუმტკიცოთ, რომ სიმართლე და ღირსება ფულზე მაღლა დგას.

პატივისცემით:

ნონა ბაფრინდაშვილი, მაია ჩიბურდანიძე, ლევან თედიაშვილი, ვახტანგ ბალავაძე, დავით ციმაკურიძე, ოთარ ქორქია, რაფაელ ჩიმიშკიანი, რობერტ შავლაყაძე, დავით გობეჯიშვილი, მზია ჯუღელი, მირიან ცალქალამანიძე, ქეთევან ლოსაბერიძე, თამაზ იმნაიშვილი, მიხეილ სალაძე, ტარიელ ულენტი, დიტო შანიძე, ლევან მოსეშვილი, ნიკოლოზ დერიუგინი, გიორგი სხირტლაძე, თემურ ყაზარაშვილი, ჯემალ ცერცვაძე, სერგო კოტრიკაძე, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გოიაშვილი, ვლადიმერ თხელიძე, თინათინ ლეკვეიშვილი, ნოდარ კურტანიძე, შოთა ქველიაშვილი, თენგიზ სულაქველიძე, ზაურ ცხადაძე, ნელი სალაძე, ბიძინა მაზიაშვილი (სულ 118 ხელმოწერა).

ქუჩის ორივე მხარეს გადაჭიმულ ასეთი შინაარსის ტრანსპარანტს ბევრგან შეხვდებით თბილისში. „ელიტარული ბინები, მშენებარე სახლები ვერაზე და ვაკეში" – ჯერჯერობით ის ვიცით, რომ ვაკეში მშენებარე ბინებში ზამთრის საცურაო აუზის წინ დაგეგმილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსიც შედის. ყოჩაღ, მშენებლებო, და მშენებლობის ნებართვის გამცემნო!




# სპორტის მოძულების ტენდენციები საქართველოში!

*პირველი გვერდიდან*

სხვას ეხება და არა ჩვენ, ასეთია სინამდვილე.

ნებისმიერ სპორტსმენს, ამ შემთხვევაში რაოდენობას არა აქვს მნიშვნელობა, თავისი ქვეყანა და ხალხი სიყვარულით, წარმატების იმედით და რწმენით ისტუმრებს ოლიმპიურ თამაშებზე, უპირველესად კი ცხადია, ხელისუფლება ქმნის შესაფერის ფონს, ვალში არც ფირმები, კომპანიები და ცალკეული ბიზნესმენები რჩებიან.

ჩვენი მწვრთნელები გულისტკივილით ამბობენ: შესანიშნავი ნიჭიერი თაობა წამოვიდა, მაგრამ რად გინდა, შესაძლებლობების ნახევრის სრულად გამოვლენის საშუალება არ ეძლევათო. გასაგებია, რას გულისხმობენ ისინი. ესაა – ხელმიშვებული სამედიცინო კონტროლი, წვრთნის არასტაბილური რეჟიმი, კვების ულარიბესი რაციონი, ტურნირებზე შეკრების გარეშე გამგზავრება და უსახსრობის გამო თვით შეჯიბრებებში მონაწილეობის პერმანენტული პრობლემა.

ჩვენ უკვე 35 ლიცენზიანტი გვყავს სიდნეიში და უფრო მეტ მონაწილეს მხოლოდ ზესპორტული სახელმწიფოები თუ გამოიყვანენ: თუმცა იმასაც ვნახავთ, რომ ბევრი ქვეყანა, ჩვენზე რიცხობრივადაც და ქონებრივადაც მძლავრები ჩვენოდენ მონაწილეს თავს ვერ მოუყრიან. ეს შემდეგ დავითვალოთ. მანამდე კი შეძლებული ქვეყნები და, სხვათა შორის, ეკონომიკურად ჩვენნაირებიც კი, არაფერს ზოგავენ თავიანთი ათლეტების, ერის ღირსეული წარმომადგენლების წასახალისებლად. პრესაში ქვეყნდება ვინ რამდენს ჰპირდება თავის გამარჯვებულ და პრიზიორ სპორტსმენს, მათ აღმზრდელებს ოლიმპიადაზე წარმატების შემთხვევაში. ჩვენთან? ჩვენთანაც დაითქვა მიზერული თანხა, მაგრამ ოი, საოცრებავ, დიდი დავა წავიდა იმაზე, მოეხვედრებინათ თუ არა სეკვესტრში ოლიმპიადაზე წარჩინებულთა ფონდი – ესეც თქვენი საქართველოში სპორტის მოძულების ტენდენციის კიდევ ერთი მკაფიო მაგალითი.

ვამბობთ ყოველივე ამას და ძალაუნებურად ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს ქართული სპორტის მზე ამ საუკუნის ბოლო წელს და ბოლო ოლიმპიურ თამაშებში უნდა ჩაესვენოს. რატომ ასეთი კატეგორიულობა? დაგვიჯერეთ, მკითხველო და ქართული სპორტის გულშემატკივარო, როგორ ფიქრობთ, როცა ოლიმპიური თამაშების წინ ქვეყანაში სპორტისადმი ასეთი უყურადღებობაა, თამაშების შემდეგ გახდებიან პატრიოტები? არ დაიჯეროთ! არის თუ არა გამოსავალი ანუ ხსნის გზა? ინგლისური ანდაზა ამბობს: „სადაც სურვილია, იქ გზაცაა!" მაგრამ სად არის ეს სურვილი?

გვახსოვდეს: სიმაღლეზე ატანილი ლოდის დაგორება ადვილია, მაგრამ მერე ის კვლავ დიდი შრომით და წელმოწყვეტით ანდა აიტანო ისევ სასურველ სიმაღლეზე. ასე რომ, ხელს ნუ ვკრავთ უკვე დაპყრობილი სიმაღლიდან ქართული სპორტის ტრადიციებს...

**თენგიზ ბაჩეჩილაძე**

*გაგრძელება იქნება*

**ფარიკაობა ● აჭარის ღია პირველობა**

# მომავალ ოლიმპიელთა ძიება ბათუმიდან განახლდა

ჩატარდა აჭარის ღია პირველობა ფარიკაობაში, დევიზით — „ოლიმპიელები ჩვენს შორისაა! რომელშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოფარიკავეებთან ერთად თბილისელი და ქუთაისელი მუშკეტერებიც ცდიდნენ ძალას. სულ საფარიკაო ბილიკზე გამოვიდა 58 მონაწილე.

რაპირისტ გოგონათა შორის უძლიერესი იყო ხელვაჩაურელი ბელა ბალაძე, რომელმაც ფინალში დედაქალაქელ ლელა ძნელაძეს სძლია 15:9. მესამე ადგილზე ბათუმელები დიანა დუბოვაია (№27 სკოლა) და თინა ბოლქვაძე (№23 სკოლა) გავიდნენ.

რაპირისტ ვაჟთა შორის ბათუმური ფინალი შედგა, სადაც უმაღლესი პედაგოგიური კოლეჯის ორი სპორტსმენი ეჯიბრებოდა ერთმანეთს, გაიმარჯვა იური დუბოვოიმ, რომელმაც ირაკლი ჰელიძეს მოუგო. მესამე ადგილები ხვდათ აკაკი ჯიქიას (ქუთაისი) და ანდრეი ბრაკალოვს (ბათუმი).

დაშნით მოფარიკავე გოგონათა შორის გაიმარჯვა თბილისელმა ნათია საკაშვილმა. მეორე იყო ქუთაისელი ქრისტინა გოგლიძე, მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ბათუმელი ვიქტორია მანახოვა და ქუთაისელი მარიკა ფურცხვანიძე.

ხმლით ფარიკაობაში ტოლი არ ჰყავდა საქართველოს ნაკრები გუნდის წევრს, ბათუმის 21-ე სკოლის მეცხრეკლასელ ირაკლი ზამბახიძეს. მეორე ადგილზე გავიდა მისივე თანაგუნდელი გოგიტა ბერიძე. მესამეზე — ლაშა მიქელაძე (ბათუმი) და ზურაბ კაკულაშვილი (თბილისი).

დაშნაში როგორც მოსალოდნელი იყო, გაიმარჯვა ქუთაისელმა მირიან მირიანაშვილმა, მეორეზეა — თბილისელი დავით ელბაქიძე, მესამეზე ბათუმელი ანდრეი აკაევი და თბილისელი მიხეილ ჯიქია. შეჯიბრება სეოკ-ის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა. განზრახულია მომავალ წელს ასპარეზობას საერთაშორისო სტატუსი მიენიჭოს.

გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდნენ ოლიმპიური კომიტეტის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

**ოთარ მურვანიძე**

# გართობა — თამაშები წყალზე

ვაგრძელებთ ზაფხულის არდადეგების, შვებულებების წყლის აკვატორიასთან დასვენების დროს აქტიური ვარჯიშების კომპლექსის გამოქვეყნებას. ვარჯიშები ხელმისაწვდომია ყველასათვის და დაგეხმარებათ აქტიურ დასვენებაში. შეგიძლიათ ვარჯიშები შეასრულოთ ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან ერთად, რაც არა მარტო აამაღლებს თქვენს ტონუსს, არამედ გაგათავისუფლებთ ზედმეტი კილოგრამებისაგან.

ამჯერად გთავაზობთ დასვენების დროს ხმელეთსა და წყალზე ვარჯიშების კომპლექსს, რომელიც სასარგებლოა ყველა ასაკის ადამიანისათვის.

ვარჯიშების შესრულების წინ, აუცილებლად უნდა ჩაატაროთ მსუბუქი მოთელვა. იძუნძულეთ, შეასრულეთ გამართული ხელებით წრიული მოძრაობები ორივე მიმართულებით. ზნექი წინ, უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, შეასრულეთ ბუქნები (ჩაჯდომი).

**ნაპირზე (პლაჟზე) ვარჯიშები**

I **ვარჯიში:** (ნახ. №1) დაეშვით მუხლებზე და საჯდომით დაეყრდენით ქუსლებს. ფეხის ცერები გაჭიმულია. გამართული ხელები გაიტანეთ ზურგს უკან. ოდნავ გადაიზნიქეთ წინ, ხელების სწრაფად წინ გატანით და ფეხების არეკნით შეიცვალეთ მდგომარეობა და დადექით ბუქნბჯენში (ბუქნი).

II **ვარჯიში:** (ნახ. №2) დაწექით ქვიშაზე (ბალახზე) ზურგით, გამართული ხელები დააწყვეთ ტანის გასწვრივ. ფეხის ტერფებით დაიკავეთ ბურთი, ჩაისუნთქეთ, გამართული ფეხები ბურთიანად გადაიტანეთ თავს უკან და შეეხეთ მიწას (ქვიშას, ბალახს და ა.შ.) — ამოისუნთქეთ. ფეხები ოდნავ გაშალეთ და ბურთი დატოვეთ თავს უკან, გამართული ფეხები გადმოიტანეთ და ისევ მიიღეთ საწყისი მდგომარეობა — ჩაისუნთქეთ. გამართული ფეხები გადაიტანეთ თავს უკან და ფეხის ტერფებით კვლავ დაიმაგრეთ ბურთი — ამოისუნთქეთ. ფეხები ბურთიანად ისევ გადმოიტანეთ საწყის მდგომარეობაში — ჩაისუნთქეთ. ვარჯიში შეასრულეთ 8-10-ჯერ.

III **ვარჯიში:** (ნახ. №3). დადექით საწყის მდგომარეობაში, ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე. აიღეთ ბურთი და ხელებით აისროლეთ მაღლა, სანამ ბურთი დაეშვება ძირს, უნდა მოასწროთ თქვენი სიმეტრიის ღერძის ირგვლივ სწრაფად შემობრუნება 360 გრადუსით და დაშვებული ბურთის დაჭერა. ბრუნები შეასრულეთ ორივე მიმართულებით — მარჯვნივ და მარცხნივ (ვარჯიში შეასრულეთ 8-10-ჯერ თითოეულ მხარეს).

მე-3 ვარჯიში შეიძლება უფრო გავართულოთ. ბურთის მაღლა ატყორცნის შემდეგ შეასრულეთ წინ კოტრიალი, სწრაფად წამოდექით და დაიჭირეთ დაბლა დაშვებული ბურთი. ასევე შეასრულეთ აღნიშნული მოძრაობა — უკან კოტრიალით.

IV **ვარჯიში:** (ნახ. №4) მიიღეთ საწყისი მდგომარეობა დგომში. ფეხები ერთად. შეასრულეთ წინ ზნექი, ხელის გულებით შეეხეთ მიწას, მუხლები არ მოხაროთ (თუ წინ ზნექის შესრულება გაგიძნელდათ, ფეხები გაშალეთ განზე და ისე შეასრულეთ აღნიშნული ვარჯიში), წინ დაყრდნობილი ხელებით დაიწყეთ წინ გადაადგილება ისე, რომ ფეხები არ მოაცილოთ მიწას, მოხვალთ წოლბჯენში (მწოლიარე მდგომარეობაში), რის შემდეგ, ახლა უკვე ხელებით უკანა მიმართულებით გადაადგილებით დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას (წინზნექი). ვარჯიში შეასრულეთ 8-10-ჯერ.

V **ვარჯიში:** (ნახ. №5). დადექით სწორად, თავი გადაწიეთ უკან და შუბლზე დაიდგით წყლით სავსე ქაღალდის (პლასტმასის) ჭიქა. ეცადეთ წყლის დაუქცევლად ჯერ დაჯდეთ მიწაზე, შემდეგ დაწვეთ. ამის შემდეგ ეცადეთ წამოჯდეთ და შემდეგ ადგეთ ფეხზე და მიიღოთ საწყისი მდგომარეობა ისე, რომ ჭიქიდან წყალი არ გადმოიღვაროს. ვარჯიში შეასრულეთ 8-10-ჯერ.




*ნახატები შესრულებულია ავტორის მიერ*

**ჯემალ კვანტალიანი,**
**სპორტის ოსტატი.**

*დასაწყისი იხ. „ლელო" №56-57.*

*გაგრძელება იქნება*

# 50 წლის წინათ...

***თბილისი.*** ჩოგბურთში 1950 წლის პირველობა ვაჟთა შორის მოიგო ვ. ურაევსკიმ, ქალთა შორის — ლ. ზასკმა, წყვილებში — მ. კლდიაშვილმა და ლ. ზასკმა, შერეულ წყვილებში — მ. იანვარაშვილმა და ი. ელერდაშვილმა.

***ცაგერი.*** ვაჟთა შორის რაიონული საჭადრაკო ტურნირი მოიგო შ. ტვილდიანმა.

***აბასთუმანი.*** ექიმმა ა. მხეიძემ და ინჟინერმა ლ. არეშევმა, შესაბამისად I და II ადგილები გაიყვეს აბასთუმნის ვაჟთა საჭადრაკო ჩემპიონატში.

***ზუგდიდი.*** სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მოეწყო ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნური ბილიკები და სექტორები.

***სოხუმი.*** 1950 წლისათვის აფხაზეთში აღირიცხა 790-მდე დიდი და მცირე სპორტული ბაზა. აქედან — 9 სტადიონი, ამდენივე პორტი, კალათბურთის — 82, ფრენბურთის — 327 მოედანი, ტანვარჯიშის 95 ბაქანი, ტანვარჯიშის — 7 და ძალოსნობის 5 დარბაზი, საცურაო აუზები, სასროლი ტირები, სტენდები...

# სპორტი და „ცხოვრების ჯანსაღი წესი"

დიღმის მასივის VI კვარტალის სპორტულ მოედანზე რამდენიმე წელიწადია ასეთი გამოცოცხლება არ ყოფილა. დევიზით „დავამკვიდროთ ცხოვრების ჯანსაღი წესი" აქ ჩატარდა დიდუბის რაიონის პირად-გუნდური პირველობა სპორტის ყველასთვის ხელმისაწვდომ სახეობებში — ზაფხულის ცხელ დღეებში თბილისში დარჩენილი მოზარდებისთვის. ორგანიზატორი რაიონის სპორტკომიტეტთან ერთად იყო სერვისული მომსახურების ცენტრები (სმც), ადგილები ასე განაწილდა: 1. №4 სმც (დირ. თ. კუპრაძე), 2. №2 სმც (დირ. ნ. ჩახუნაშვილი), 3. №7 სმც (დირ. რ. ჯავახიშვილი). ასეთი ღონისძიებები კვლავ ჩატარდება, მათ შორის ტურიზმში.

**ნუხა გაგოშიძე**



ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

# ოლეგ რომანცევი: ხიზანეიშვილისადმი პრეტენზიები არ მაქვს!

„ლელოს" მოსკოველი კორესპონდენტი არკადი სმირნოვი:

მოსკოვის „სპარტაკის" წამყვანი მცველი დმიტრი ხლესტოვის თურქეთის „ბეშიქთაშში" გადასვლამ რუსებს დიდი თავსატეხი გაუჩინა, უკანა ხაზში ხომ საერთოდ ყველაფერი მოიშალა. ეროვნულ გათამაშებაში ბრძოლა ჩემპიონობისათვის უკიდურესად დაიძაბა, რკინიგზელთა გუნდი სადაცაა დაეწევა ლიდერს, ჩემპიონთა ლიგის მატჩებიც კარსაა მოდგარი. ასეთ სიტუაციაში სპარტაკელთა თავკაცმა ოლეგ რომანცევმა ხლესტოვის ნაცვლად ერთბაშად რამდენიმე ახალი ფეხბურთელი მიიღო გუნდში. მაშ ვის ანდობს მწვრთნელი წინა ცენტრალური მცველის პოზიციას? რუსი ჟურნალისტები ამ საკითხში ერთსულოვნები არიან — №1 კანდიდატი ქართველი ოთარ ხიზანეიშვილია. ორ კვირაზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მას უკანასკნელად შევეხმიანეთ. რა შეიცვალა ამ პერიოდში? ოთარი ტარასოვკაში, „სპარტაკის" ბაზაზე მოვინახულეთ. უფრო დამშვიდებული გვეჩვენა, დამაჯერებლადაც ლაპარაკობს.



● ***ოთარ, მოგვილოცია დებიუტი ახალ გუნდში, მართალია „ლოკომოტივთან" მატჩში მხოლოდ 45 წუთი ითამაშე, ვფიქრობთ, ეს დროც საკმარისი იყო თავგამოსაჩენად.***

— ცხადია, ძლიერ ვღელავდი, მაგრამ თანდათან ნერვები მოვთოკე და საერთო აზრით ურიგოდ არ მითამაშია. სპორტულმა მასმედიამ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ორთაბრძოლებში ხისტად ვმოქმედებდი. ამ თვისებას რუსეთში ძალიან აფასებენ.

● ***ჩემი რუსი კოლეგების აზრით, თქვენ უშიშარი ფეხბურთელის შთაბეჭდილებას სტოვებთ, ბურთის წართმევაშიც კარგად გამოიყურებით. 18 წლის ასაკში ფიზიკური მონაცემებიც საშუალოზე მაღალი გაქვთ, საკმაოდ სწრაფი ხართ...***

— ძალიან ნუ მაქებთ, თავში ამივარდება (ელიმება — ა.ს.). ვერ დამაჯერებთ, რომ ჩემს თამაშში ნაკლოვანი მხარეები არ დაგინახიათ, ვთქვათ, ის, რომ ცუდად ვთამაშობ მარცხენა ფეხით, ზოგჯერ ზედმეტად ემოციურიც ვარ.

● ***არ ვიცი, რამდენად შეიძლება ეს ნაკლად ჩაითვალოს, მაგრამ თქვენს ახალგაზრდულ წლებს ასახელებენ უმთავრეს სისუსტედ. თითქოს, პირი შეკრეს, ერთი და იგივეს გაიძახიან — იგი ახალგაზრდაა, ესე იგი, გამოუცდელი, რა გარანტიაა ჩემპიონთა ლიგისა თუ ეროვნული ჩემპიონატის გადამწყვეტ შეხვედრებში არ ჩაიდენს ტაქტიკურ შეცდომებს?***

— ეგრე თუ ვიმსჯელეთ, გუნდში საერთოდ არ უნდა იყვნენ ახალგაზრდები. ოლეგ რომანცევი, პირიქით, ყოველთვის მამხნევებს და ჩამჩიჩინებს, რომ სწორედ მე შემიძლია გავხდე გუნდის წამყვანი მცველი, მაგრამ ამისათვის ჯერ ძირითად შემადგენლობაში მაქვს ადგილი დასამკვიდრებელი.

● ***რაკი თავად შეეხეთ ამ თემას, სწორედ თქვენ მოგიაზრებენ ხლესტოვის მემკვიდრედ.***

— რატომ, ხომ შეიძლება ეს როლი იტვირთონ ევგენი ბუშმანოვმა, ბრაზილიელმა ახალბედამ ალეშანდრე ლოპესმა, იური კოვტუნმა, ვიქტორ ბულატოვმა, კამერუნელმა კრისტიან ჩუისემ.

● ***ოთარ, თითქმის თვეა, რაც „სპარტაკში" ხართ, რუსულში კი კვლავ ორივე ფეხით „მოიკოჭლებ". თანაგუნდელებს როგორ აგებინებ რამეს?***

— იმედი მაქვს თანდათან ამ ნაკლს გამოვასწორებ. ჯერჯერობით კი ჟესტიკულაციით უფრო გავდივარ.

● ***ვისთან მეგობრობთ?***

— ბევრთან, განსაკუთრებით მომწონს ურთიერთობა ბეზროდნისთან და კალინიჩენკოსთან, იუგოსლაველ იოვიჩთან. კარგი დამოკიდებულება ჩამომიყალიბდა მწვრთნელ ვიაჩესლავ გროზნისთან, სხვათა შორის, იგი ცოტას ქართულადაც ლაპარაკობს.

● ***მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ „სპარტაკში" ადაპტაცია უკვე გაიარეთ?***

— გუნდთან შეჩვევა მაინცდამაინც არ გამჭირვებია. ურთიერთობაშიც, მინდორზეც ახალ პარტნიორებთან ურთიერთობაში რაიმე პრობლემა არ მქონია. დაცვის ცენტრში მომწონს თამაში ბუშმანოვთან წყვილში.

● ***თქვენი მონაწილეობით „სპარტაკმა" ზედიზედ მეორე მატჩი წააგო, რაც ამ კლუბის ისტორიაში უკანასკნელად სამი წლის წინათ მოხდა. რაშია საქმე?***

— ჩვენს გუნდში თაობათა ცვლა მიმდინარეობს. შეიძლება ითქვას, რომ შემადგენლობაში კარდინალური ცვლილებებია, ეს კი ნებისმიერი კოლექტივისათვის ძალზე მტკივნეული პროცესია. ყველა ღონეს ვიხმართ, რათა სწრაფად გამოვიდეთ კრიზისიდან.

შაბათს საღამოს, „სპარტაკი" — „კრილია სოვეტოვის" (1-2) მატჩის შემდეგ მწვრთნელების ტრადიციული პრესკონფერენცია გაიმართა. ოლეგ რომანცევმა, შეეხო რა ხლესტოვის შემცვლელის საკითხს, ეს თქვა: „ცხადია, უხლესტოვოდ ძლიერ გაგვიჭირდება. მის შემცვლელებად გუნდში მოვიწვიეთ ქართველი ხიზანეიშვილი და ბრაზილიელი ლოპესი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში 4 თამაში აქვს ჩატარებული. დარწმუნებული ვარ ისინი შეძლებენ შეადუღაბონ ჩვენი დაცვა. მე მათი მჯერა. მთავარია ახლა მოთმინება გამოვიჩინოთ და ხელი შევუწყოთ ახალბედებს. ჯერჯერობით ისინი მომწონს, მათდამი პრეტენზიები არ მაქვს".



ხიზანეიშვილი, ო. რომანცევი წვრთნის დროს

# შემდეგი კიევის „დინამოა", თუ... ბელგრადში არ შევრცხვით

***უეფას შტაბ-ბინაში, სახელდობრ, შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა შედგა (პირველი მატჩები 8-9 აგვისტოს, საპასუხო — 22-23 აგვისტოს გაიმართება). გაირკვა, რომ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა" — ქუთაისის „ტორპედოს" შორის გამარჯვებული კიევის „დინამოს" მეტოქე იქნება. წილისყრის სხვა შედეგები ასეთია:***

ჰაკა (ფინეთი) ან „ინტერი" (სლოვაკეთი) — ლიონი (საფრანგეთი)

ინტერი (იტალია) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) ან ბატე (ბელარუსი)

დინამო (რუმინეთი) ან პოლონია (პოლონეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი)

ბეშიქთაში (თურქეთი) ან ლევსკი (ბულგარეთი) — ლოკომოტივი (რუსეთი)

შტურმი (ავსტრია) ან ჰაპოელი (ისრაელი) — ფეიენოორდი (ჰოლანდია)

ზიმბრუ (მოლდოვა) ან მარიბორი (სლოვენია) — სპარტა (ჩეხეთი)

ანდერლეხტი (ბელგია) ან ანორთოსისი (კვიპროსი) — პორტუ (პორტუგალია)

შახტარი (უკრაინა) ან ლევადია (ესტონეთი) — სლავია (ჩეხეთი) ან შამქირი (აზერბაიჯანი)

ჰერფიოლგე (დანია) — რეინჯერსი (შოტლანდია) ან ჟალგირისი (ლიტვა)

ბრონდბიუ (დანია) ან რეიკიავიკი (ირლანდია) — ჰამბურგი (გერმანია)

ჰაიდუკი (ხორვატია) ან დენაფერი (უნგრეთი) — შელბურნი (ირლანდია) ან რუსენბორგი (ნორვეგია)

ტიროლი (ავსტრია) — ვალენსია (ესპანეთი)

ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — მიუნხენ-1860 (გერმანია)

სენტ გალენი (შვეიცარია) — გალათასარაი (თურქეთი)

მილანი (იტალია) — დინამო (ხორვატია)

# კიეთი გვარზე ხტისო – ფრანგები 18-წლიანებშიც გაჩემპიონდნენ

*18-წლამდე ჭაბუკთა ნაკრები გუნდების ევროპის ჩემპიონატის ფინალში ფრანგებმა უკრაინელებს სძლიეს მინიმალური ანგარიშით 1-0. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში გერმანელებმა მოუგეს ჩეხებს 3-1. ამრიგად, დასახელებული ნაკრები გუნდები, აგრეთვე ფინეთისა და ჰოლანდიის კოლექტივები შეავსებენ ევროპისათვის განკუთვნილ 8 ადგილს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ჭაბუკთა შორის.*

# ერუდიტებო, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!

***1. როდის გადაიცა პირველი საფეხბურთო რეპორტაჟი რადიოთი საქართველოში?***

ა) 1938 წელს
ბ) 1944 წელს
გ) 1945 წელს

***2. ფეხბურთში „საქართველოს თასის" გათამაშების რომელი წლის ფინალში დაფიქსირდა პირველად გაძევება?***

ა) 1993 წელს
ბ) 1998 წელს
გ) 1999 წელს

***3. ვინ ითამაშა ყველა მატჩი საქართველოს პირველ ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატში?***

ა) გ. გიორგაძემ და ზ. თოფურიამ
ბ) ზ. თოფურიამ და გ. კეტაშვილმა
გ) მ. არზიანმა და გ. გიორგაძემ

***4. ვინ იყო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანი 1988 წელს?***

ა) ალექსანდრე ჩივაძე და თენგიზ სულაქველიძე
ბ) თენგიზ სულაქველიძე და ოთარ გაბელია
გ) მხოლოდ ოთარ გაბელია

***5. ვინ იყო თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი 1967 წელს?***

ა) ვიაჩესლავ სოლოვიოვი
ბ) ალექსანდრე კოტრიკაძე
გ) გივი ჩოხელი

***წინა ნომერში გამოქვეყნებული შეკითხვების პასუხები: 1 – ა, 2 – ბ, 3 – გ, 4 – ა, 5 – გ.***

# ვინ დაიცავს ფეხბურთელებს, ვეტერანებს და მათ ოჯახებს?

## თვალსაზრისი

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე საფეხბურთო კლუბებსა და გუნდების პრობლემებზე ლაპარაკი დღეს უხერხულიცაა და დაგვიანებულიც. ძირითადად თქვენს ყურადღებას გავამახვილებ სოციალურ საკითხებზე.

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ყველა საფეხბურთო კლუბი თითქმის გაკოტრებულია. ფინანსურად ყველას უჭირს, გუნდებს მემკვიდრეობით არაფერი მიუღია, არავის არაფერი უჩუქებია, საბაზრო ეკონომიკამ ხომ გუნდების ხელმძღვანელობაც გაურკვევლობაში ჩააგდო. ადრე თუ ყველა მიჩვეული იყო სხვისი კარნახით მუშაობას, ახლა თავად უნდა ეძიოს, მოამარაგოს, დააკმაყოფილოს ფეხბურთელები, იშოვნოს სამივლინებო თანხები, ტრანსპორტი, მოაგვაროს კვების, სასტუმროს, ეკიპირების და ა.შ. საკითხები. ეს ურთულესი პროცესია, ამიტომაცაა გუნდებში პრეზიდენტების ხშირი ცვლა. ვინც მიდის, ვალებს უტოვებს მემკვიდრეს. ახალი ძველ პრეზიდენტს აბრალებს ყველაფერს და იწყება საქმის გარჩევები, რომელიც ხშირად მუქარით, გაწევ-გამოწევით და ჩხუბით მთავრდება.

ჩვენდა სამარცხვინოდ და საუბედუროდაც, გუნდებში არ არის საუწყისო რეჟიმი, არ იცავენ საკასო დისციპლინას, ხელფასს ხან ვინ არიგებს, ხან ვინ. ამ საქმეში გაურკვეველი ხალხია ჩართული. თამაშის წინ გასახდელში შედის ვინმე შავი, ჭრელი თუ ყვითელი, ვერ გაიგებ ვინ, დაურიგებს ფეხბურთელებს ცოტაოდენს, რომ თამაში არ ჩაიშალოს. მერე კვლავ არავის ახსოვს გუნდი და მისი წევრები. თითქოს მოდად იქცა, თუმცა ესეც იძულებითი აქციაა, ფეხბურთელები თამაშის წინ საგაფიცვო ჯგუფებს ქმნიან გუნდებში და იმის ნაცვლად, რომ პასუხისმგებლობით მოემზადონ მატჩისათვის, იწყება ნერვიულობა, მერე ჩნდება ცაიტნოტში ჩავარდნილ კლუბის თავკაცთა ახალი დაპირებები. ხანდახან გაიჟღერებს ხოლმე მუქარაც. მათი დავის გადამწყვეტი, მომრიგებელი-მედიატორი კი არავინაა.

აი, აქ კი მთავარ სათქმელს მივადექით. მინდა საუბარი გავაგრძელო პროფკავშირის როლით. მისი სიკეთე ყველასათვის ცნობილია, ბევრს საკუთარ თავზეც გამოუცდია. ჩვენში რატომღაც პროფკავშირული ორგანიზაციის აშკარა იგნორირება ხდება, რაც ძალიან აფერხებს ამა თუ იმ დარგის წინსვლას, მოუგვარებელი რჩება, მეტიც, უფრო მწვავდება კონფლიქტები მოდავე მხარეებს შორის. პროფკავშირებზე არსად არ ამბობენ უარს. პირიქით, რაც უფრო ძლიერია ქვეყანა, მით უფრო ძლიერია პროფკავშირი. ყველგან ადამიანები პროფკავშირებში ხედავენ თავიანთი ინტერესებისათვის თანამებრძოლს, თანამდგომს, წინამძღოლსაც კი. ასეთი საუბარი შორს წაგვიყვანს. მე მინდა საჯაროდ განვაცხადო, რომ პროფკავშირი აუცილებელია საქართველოს საფეხბურთო სამყაროში. კლუბების ადმინისტრაცია და პროფკავშირი ერთად უფრო მეტ სარგებლობას მოუტანენ საერთო საქმეს. აქ ლაპარაკი არ არის მხოლოდ თანხების მოძიებასა და შრომის ანაზღაურებაზე, ლაპარაკია დახმარებებზეც, მკურნალობაზეც და, საერთოდ, სხვადასხვა შემწეობაზე.



რაც მთავარია, ყურადღების მიღმა არც ვეტერანი ფეხბურთელები დარჩებიან.

ეს ვაკუუმი რაღაცით, ოდნავ მაინც უნდა შევსილიყო და ისევ სფფ-ს ხელმძღვანელობამ გამოიჩინა კეთილი ნება. სწორედ სფფ-ს ამჟამინდელმა თავკაცებმა დაადგინეს, რომ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთელების თუ გუნდების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის გადახდილი ჯარიმის თანხებიდან, დახმარება გაეწიოთ ვეტერან ფეხბურთელებსა და მათ ოჯახებს. მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, წვეთია ზღვაში, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ფეხბურთელთა, ვეტერანთა და მათი ოჯახების სოციალური დაცვის მწყობრი სისტემა ჩამოყალიბდეს, რაშიაც მაორგანიზებელი ფუნქცია პროფკავშირმა უნდა შეასრულოს.

**ილია მჭედლიშვილი**
საქართველოს ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირის თავმჯდომარე

# შეკითხვა „ლელოს"

**შეკითხვა:** ამას წინათ საინტერესო ინფორმაცია ამოვიკითხე თქვენს გაზეთში რუბრიკით „ერუდიტებო, შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!" დასმული იყო შეკითხვა, თუ რომელმა ცალხელა ფეხბურთელმა ითამაშა თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში. „ლელოს" მომდევნო ნომერში პასუხი შევიტყვე, რომ ეს ფეხბურთელი ყოფილა შლიენსი.
გთხოვთ მიპასუხოთ, რომელი ქვეყნის ნაკრები იყო ის გუნდი, სადაც ითამაშა შლიენსმა და რომელ წლებში გამოდიოდა ეს ფეხბურთელი?

**პასუხი: გიპასუხებთ მოკლედ, შლიენსი თამაშობდა გერმანიის ეროვნულ ნაკრებში ამ საუკუნის 50-იან წლებში. სხვა დაწვრილებითი ცნობა, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია.**




# ესეც სიახლე – გაიგეთ მოემზადება!

ამ ბოლო ხანს ქართველი ფეხბურთელების მონაწილეობით რაიმე მნიშვნელოვანი სატრანსფერო გარიგება არ მომხდარა და, როგორც ეტყობა, ტრანსფერი-2000-ის სეზონი ჩვენი თანამემამულეებისათვის უკვე დამთავრებულია. თუმცა, აქა-იქ მაინც ვიგებთ მათი „ჩალიჩის“ „საგმირო საქმეებს“. მაგალითისათვის თბილისის „ლოკომოტივის“ კაპიტნის, იმავდროულად ეროვნული ნაკრების წევრის ***გიორგი ჩიხრაძის*** ტრანსფერს მოვიყვანთ. გუშინწინ შევედით ინტერნეტში და თვალებს არ დავუჯერეთ — კლუბგამოცვლილთა სიაში ჩიხრაძის გვარია, ხოლო ახალ გუნდად დასახელებულია ისრაელის უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი ბეერშევას „ჰაპოელი“. სხვათა შორის, შევიტყვეთ, რომ ამავე პროვინციულ გუნდში უნდა ჩარიცხულიყო ჩიხრაძის თანაგუნდელი ***ლევან მიქაძეც***, მაგრამ შემოთავაზებული პირობები იმდენად არახელსაყრელი იყო, ჩვენებური სამშობლოში გამობრუნებულა. ასევე მოქცეულა ***დავით ქიქველიშვილიც***, რომელიც ასევე რკინიგზელთა კლუბს დაუბრუნდა.

სამწუხაროდ, ჩიხრაძის მაგალითი ერთეული არაა, სად არ არიან ამჟამად „მოდებულები“ ქართველი ფეხბურთელები! არა, საწინააღმდეგო როგორ გვექნება, როცა ისინი მოწინავე საფეხბურთო კლუბებში მიდიან, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს? აგერ, ახლახან შევიტყვეთ, სამტრედიის „იბერია“ შეკრებაზე (?) ურალში, ნიჟნი ტაგილის რაიონში წასულა. ქვეყანაში, სადაც გაგვაჩნია ისეთი კურორტები, როგორიცაა ბორჯომი, ბაკურიანი, შავი ზღვის სანაპირო და ამ დროს ახალი სეზონისთვის სადღაც ტყე-ღრეში ვემზადებით. მაპატიეთ, მაგრამ ეს „ვოიაჟი“ უფრო კომერციულ ხასიათს ატარებს, ალბათ. ვეჭვობთ, რომ „იბერია“ რუსეთიდან სრული შემადგენლობით დაბრუნდეს.

რაკი ქართული გუნდების მზადებას შევეხეთ, ვნახოთ, როგორ ატარებს ამ პროცესს ბათუმის „დინამო“. სანამ გუნდის მთავარი მწვრთნელი ჯანი კარნევალე შვეიცარიაში ***ლევან ხომერიკსა*** და ***ამირან მუჯირს*** აბინავებდა, „დინამო“ ბათუმში ვარჯიშობდა, მერე კი ჩაქვში გადაბარგდა და ორჯერად წვრთნას ატარებდა, პარალელურად სპარინგ-პარტნიორებსაც ეძებდა. პირველი მეტოქე ხოფაში მოძებნეს, „დინამომ“ „ხოფასპორს“ 3-1 მოუგო. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩში მონაწილეობა მიიღეს ძირითადი მე-




კარის ***ნიკა ტოზონიძის*** დუბლიორებმა ექს-ფოთელმა ზურაბ ქვაჩახიამ და ექს-რუსთაველმა გრიგოლ ბედიაშვილმა. როგორც ეტყობა, ნიკა ტოზონიძე მალე დატოვებს ბათუმელთა გუნდს და სავარაუდოდ შვეიცარიის ერთ-ერთ კლუბში გადავა.



ს.კ. „კავკასია“



ს.კ. „საბურთალო“

# ქართველმა ჭაბუკებმა იგალია დააჭაშნიკეს

„Vicenza cup“ („ვიჩენცას თასი“) – ასე ჰქვია მოზარდთა საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ყოველწლიურად ტარდება იტალიაში. მსოფლიოს 50 ქვეყნის 100 გუნდთან ერთად უკვე მეორე წელიწადია ამ შეჯიბრებაზე გამოდიან ქართველებიც. შარშან იქ „კავკასია“ ჩავიდა. წელს კი მას „საბურთალოც“ დაემატა. ჭაბუკები ერთი ავტობუსით გაემგზავრნენ აპენინებზე და, რაც ყველაზე სასიხარულოა, სამშობლოში სხვადასხვა ჯილდოთი და პრიზებით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ.

ორივე გუნდი უფროსი ასაკის („A“ კატეგორია) ტურნირში ჩაება, თუმცა ამთავითვე უნდა ითქვას, რომ 16-17 წლის ქართველ ჭაბუკებს ძირითადში 18 წლის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდებთან მოუწიათ ჭიდილი.

დამქანცველი მგზავრობის მიუხედავად, ჯგუფური ტურნირი ჩვენებისთვის იღბლიანი გამოდგა და მთავარი ამოცანა – ნახევარფინალში გასვლა წარმატებით შესრულდა. „კავკასიამ“ მოუგო იტალიურ „სანტა მარია 1“-ს 3-0, ნორვეგიის „ლანცას“ – 2-1, დამარცხდა რომის „კარტილიანოსთან“ 0-2. „საბურთალომ“ კი თავის ჯგუფში სძლია „სანტა-მარია 2“-ს 3-0 და ფრედ ითამაშა პადოვას „კასტელ გომბერტოსთან“ (1-1) და ადგილობრივ „ვიჩენტინა კალჩიოსთან“ (3-3).

ნახევარფინალების წყვილებში ქართული გუნდების მეტოქეები იტალიური კლუბები იყვნენ და, ცხადია, მაყურებელთა და მსაჯთა სიმპათიები მასპინძელთა მხარეზე იყო. „საბურთალომ“ უშელავათო ბრძოლა გაუმართა რომის „კარტილიანოს“. ძირითადი დრო ფრედ, 1-1 დამთავრდა. დაინიშნა პენალტების სერია, რომელიც უკეთ იტალიელებმა შეასრულეს. ასეთივე სცენარით წარიმართა მეორე ნახევარფინალი: „ვიჩენტინა კალჩიოს“ ჭაბუკებმა ანგარიში გახსნეს, ხოლო „კავკასიის“ ფორვარდმა აჩიკო კავთუაშვილმა საპასუხო გოლი შეაგდო. პენალტების პირველი სერია ფრედ დამთავრდა, მერე კი მეკარე ალეკო კაპანაძემ ივაჟკაცა – ჯერ თერთმეტმეტრიანი დარტყმა მოიგერია და მის შემდეგ თვითონვე წარმატებით აიღო მეტოქის კარი.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „კავკასია“ და „კარტილიანო“. მატჩი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ დამთავრდა 3-1 და მთავარი პრიზიც მას გადაეცა. „კავკასიას“ ვერცხლის თასი ერგო. გუნდის ღირსებას იცავდნენ: ალეკო კაპანაძე, ლაშა გაბუნია, ლევან შარუმაშვილი, შიო, შალვა და არჩილ ქურასბედიანები, ქიტა ქელდიშვილი, გიორგი არსოშვილი, რეზო შაბოიანი, გურამ ჭვინტიაშვილი (კაპიტანი), ლაშა დონდოლაძე, არჩილ კავთუაშვილი, რამაზ ცალქალამანიძე. ბრინჯაოს მედლები „საბურთალოს“ ჭაბუკებს გადაეცათ.

„კავკასიისა“ და „საბურთალოს“ გუნდების მთავარი მწვრთნელები ზურაბ პეტრიაშვილი და ავთანდილ სვანიძე გუშინ „ლელოს“ სტუმრობდნენ. გაგაცნობთ ამ კოლექტივების სავიზიტო ბარათს.

## ს.კ. „კავკასია“

კლუბი 5 წელია არსებობს. ნავსაყუდარი დიდ დიღომში დაიდო და, ძირითადში, გარდაბნის რაიონის ჭაბუკებითაა დაკომპლექტებული. „კავკასიის“ პრეზიდენტიც, მთავარი მწვრთნელიც ერთი და იგივე პიროვნებაა – წარსულში ცნობილი სპორტული ტელეკომენტატორი ზურაბ პეტრიაშვილი. მას არც სპონსორი ჰყავს, არც გვერდში მდგომი, ფონს ცარიელი ენთუზიაზმით გადის. „კავკასია“ გივი ჩოხელის თასზე თამაშობს, პარალელურად მწვრთნელი ცდილობს საუკეთესო ფეხბურთელები ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს გადასცეს.

## ს.კ. „საბურთალო“

კლუბი წელიწადია, რაც შეიქმნა. მისი პრეზიდენტია გიგა არევაძე, მთავარი მწვრთნელი – ავთანდილ სვანიძე. აქვს სტადიონი დიდ დიღომში (მის კეთილმოწ-




ყობაში დახმარება გაუწიათ 186-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ნანა გარდაფხაძემ და საბურთალოს რაიონის გამგებელმა გიორგი ქარსელაძემ), ნუკრი კაკილაშვილის თანადგომით ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზეც ათამაშებენ ბიჭებს. ამ შემოდგომაზე განზრახული აქვთ გამოვიდნენ რეგიონლიგაში. „საბურთალოს“ საერთაშორისო ტურნირში დებიუტი ჰქონდა ერთი თვის წინათ – მონაწილეობა მიიღო გერმანიის ქალაქ ლარის ტურნირში, სადაც ფინალამდე გააღწია და ვერცხლის თასი მოიპოვა.

**ჯემალ ჯიქაშვილი**

# პროცედურად ამას ჰქვია – გოლის გაშვება ყოველ 10 წუთში!

**ამას წინათ რედაქციაში უცნაური სატელეფონო ზარი გაისმა — სულ თავგამოჩენილ გუნდებზე და ფეხბურთელებზე წერთ, იქ ვარსკვლავი, სუპერკლუბი, მსოფლიოს და კონტინენტური ჩემპიონიო, იმაზეც გვითხარით, ვინც საფეხბურთო იერარქიის საპირისპირო პოლუსზე დგას და ანტირეკორდები დაამყარესო.**

საფეხბურთო სამყაროში მოფუსფუსე ხალხი პრაგმატულობით გამოირჩევა: სულ იმას იმეორებენ — სადაც ფულია, იქ ფეხბურთიაო. რამდენიმე წლის წინათ ერთ ანეკდოტურ შემთხვევას შევესწარი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ერთ-ერთი მსხვილი ბაზრობის მესვეურები მოვიდნენ თხოვნით — კონტროლიორებისა და გამყიდველებისაგან გუნდი შევქმენით და რომელიმე დაბალ ლიგაში გაგვაწევრიანეთო. ფედერაციაში კი უხარიათ ფულიანი ხალხის მოსვლა, მაგრამ მაინც ჰკითხეს სტუმრებს — საწევრო შენატანის გარდა მრავალი სხვა ხარჯიც გექნებათ, ფული რომ გამოგელევათ, რას მოიმოქმედებთო. მარტივად უპასუხეს: „გათამაშებიდან მოვიხსნებით!“ და მართლაც, ასე იყო წინა წლებში, ყოველგვარი საფუძვლიანი მომზადებისა და სათანადო ბაზის გარეშე იქმნებოდა გუნდები, რომლებიც სამი-ოთხი ტურის შემდეგ ფუტურო სახლებივით იშლებოდა. ისე, თავდაპირველად, კარგი საყურებლები კი იყვნენ, თურქეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილ იტალიური „ინტერის“ ფორმაში გამოწყობილები, ეულად მხოლოდ მეკარე გამოიყურებოდა — მრავლისმნახველ მაისურში, უხელთათმანოდ. როცა კარში ურტყამდნენ, მცველებს მისდგებოდა: „საჯარიმომდე არ მოუშვათ, არ დაარტყმევინოთ, ხელები მტკივა!“. „ინტერის“ ფორმა სულაც არ ამხნევებდათ. გათამაშებას ასტრონომიული ციფრებით წაგებული მატჩებით ამთავრებდნენ. მაგალითად, უმაღლეს ლიგაში ყვარლის „დურუჯის“ გაელვებაც კმარა.

ერთი შემთხვევაც. 1991-ში დმანისში გახლდით, იქაური გუნდი თელავის „ვარდისუბანს“ მასპინძლობდა. დმანისელები იმდენად უსუსურად გამოიყურებოდნენ, პირველივე ტაიმში რვა გოლი გაუშვეს, მერე კახელებმა მეტოქე დაინდეს და მეტი აღარ გაუტანეს, უბრალოდ, ბურთს აგორავებდნენ. მატჩი ისე დამთავრდა, მასპინძლები მინდვრის ცენტრს არ გადმოსცილებიან. ჰოდა, ყველაზე საკვირველი ის იყო, გვერდით მსაჯს ედავებოდნენ დმანისელი ფეხბურთელები — ერთ-ერთ ეპიზოდში აუტი სტუმრებს კი არა, ჩვენ უნდა მიგვეწოდებინაო. მეორე დღეს ლამის ოფიციალური პროტესტი შეიტანეს სფფ-ში. აი, ასეც ხდება!

თუ ანტირეკორდებზე გვაქვს ლაპარაკი, ცხადია, მატჩებზე გულშემატკივართა დასწრების თემას გვერდს ვერ ავუვლით, რაც ეროვნული ჩემპიონატი ტარდება, მაყურებელთა დასწრება კატასტროფულად ეცემა (საბედნიეროდ, შარშანდელ გათამაშებაში ეს ტენდენცია შედარებით შენელდა, რაც გამოწვეულია გათამაშების ახალ სისტემაზე გადასვლით). ძალიან ცოტა მაყურებელი ჰყავს თბილისის „დინამოს“, გორის „დილას“, თსუ-ს „გორდას“. რა თქმა უნდა, უფრო ცუდი მდგომარეობაა დაბალ ლიგებში, ერთხელ, როცა საჩხერეში ადგილობრივი გუნდისა და ხაშურის „ივერიის“ თამაშს დავესწარი, თვალებს არ დავუჯერე — სულ სამადსამი მაყურებელი მოვიდა სტადიონზე (!), ე.ი. მისი რაოდენობა რვაჯერ ნაკლები იყო, ვიდრე მინდორზე მობურთალეებისა.

ნეტავ იცოდეთ, როგორ ქომაგობდა თავისიანებს ეს სამეული! მატჩის შემდეგ საგანგებოდ ჩავიწერე მათი ვინაობა, ეს ისე, ისტორიისათვის. საჩხერიდან ფიჯის კუნძულებისაკენ გადავინაცვლოთ. სწორედ იქაური ნაკრების ანტირეკორდზეც გეტყვით: 1981-ში ფიჯელებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატი შინ დათმეს ახალზელანდიელებთან — 0-13! ეს „მიღწევა“ ფიჯის გუნდს სამი წლის წინათ მალდივის კუნძულელებმა „წაართვეს“, რომლებმაც ირანელებთან 0-17 წააგეს. საქმეში ჩახედულთ სულაც არ გაჰკვირვებიათ ეს ანგარიში, ვინაიდან იცოდნენ ამ კუნძულზე მცხოვრები ხალხის ერთი ანთროპოლოგიური თავისებურება — აბორიგენთა საერთო სიმაღლე 160 სანტიმეტრს ძლივს აღწევს. რამდენი მაღალი ბურთი არ ჩაჰკიდეს ირანელებმა მეტოქის კართან, იმდენი საგოლე თავური დარტყმა მოჰყვა. ეს, რაც შეეხება ნაკრებებს. და მაინც, რომელია ყველაზე „თავგამოჩენილი“ ნაკრები? მთელი მსოფლიო გაიძახის, ფეხბურთს ინგლისელებმა გვაზიარესო. სრულებითაც არ ფიქრობენ ასე წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე კუნძულ გუამზე. იქაურებს ფეხბურთის თამაში ამერიკელებმა ასწავლეს და ამთავითვე უნდა ითქვას, რომ დიდი ვერაფერი მასწავლებლები გამოდგნენ — საყოველთაო აზრით, გუამელებს მსოფლიოში ყველაზე სუსტი გუნდი ჰყავთ. თუ არ გჯერათ, ფაქტებით ვილაპარაკოთ. მართალია, ფიფაში ახალი გაწევრიანებულია (1996 წ.), მაგრამ კუნძულელებმა უკვე მოასწრეს ასტრონომიული ანგარიშით წაგება ყაზახებთან 3-20. სასტიკი მარცხი იწვნია გუამის საკლუბო ჩემპიონმაც — აზიის თასის საკვალიფიკაციო რაუნდში ორჯერ წააგო დიდი ანგარიშით 0-7 და 2-10 და თანაც ვისთან — ფილიპინების (!) ჩემპიონთან. ამხანაგურ მატჩში გუამელები მონღოლებთანაც კი დამარცხდნენ 0-11. მონღოლები იმიტომ ვახსენეთ, ჩინგისხანის ქვეყანაში ახლო წარსულში სრულებით უცნობი იყო ფეხბურთი. დაახლოებით 15 წელია, რაც ეროვნული ჩემპიონატის გამართვა დაიწყეს, თანდათან 4-გუნდიანი გათამაშება ძლივს აიყვანეს 8-მდე. თანაც ამ გუნდების აბსოლუტური უმრავლესობა კონტრაქტით სამუშაოდ ჩასული ადამიანებია. სხვათა შორის, ორ ქართველ ინჟინერს ვიცნობ, სიცოცხლეში ბურთისთვის ფეხი რომ არ გაურტყამთ, იქიდან ბრინჯაოს მედლებით ჩამოვიდნენ!

„თავგამოჩენილ“ კლუბებზეც ვთქვათ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში „პირველობა“ ბელგიის სსას („ანტვერპენის სოციალურ-სპორტული ასოციაცია“) ეკუთვნის, რომელიც ქვეყნის ყველაზე დაბალ ლიგაში გამოდის. 1995/96 წლების საფეხბურთო სეზონში ანტვერპენელებმა 30-ვე მატჩი წააგეს. გაიტანეს — 12, გაუშვეს — 271! მაშასადამე, ანტვერპენელთა საბრალო მეკარეს საშუალოდ ყოველ ათ წუთში ერთხელ უხდებოდა ბურთის ბადიდან გამოტანა!

**ჯემალ ჯიქაშვილი**

## ფიფას სერთიფიკატით

როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვში ფიფას ეგიდით ჩატარდა კურსები მწვრთნელების, მსაჯების, ინსპექტორების, სპორტული ექიმებისა და ფუნქციონერებისთვის. კურსების დამთავრების შემდეგ ფიფამ შესაბამისი სერთიფიკატი გადასცა საქართველოს თოთხმეტივე წარგზავნილს. ესენი არიან: მწვრთნელები თენგიზ სულაქველიძე, შოთა ჭეიშვილი, ზაურ სვანაძე და კობა ჟორჟიკაშვილი, მსაჯები: კახაბერ მესხი, ლევან ფანიაშვილი და ლაშა სილაგავა, ინსპექტორი ანატოლი მილჩენკო, ფუნქციონერები ვალერი ჩოლარია, დათო პეტრიაშვილი და გია ფირცხალავა, ექიმები: დიმიტრი ზაალიშვილი, ზურაბ ლომინაძე და დათო იოსელიანი.

შემდეგ გაიმართა მინიფეხბურთში შეჯიბრება. ფინალში გავიდნენ საქართველოს და ბელარუსის გუნდები. ძირითადი და დამატებითი დრო დამთავრდა ფრედ. პენალტებით გაიმარჯვეს ბელარუსელებმა. ჩვენებს გადაეცათ ყველაზე ლამაზად მოთამაშე გუნდის პრიზი.

ტურნირის მთავარი მსაჯი იყო ანატოლი მილჩენკო.

## ეროვნული სტადიონის პრობლემები ჭირნახულს

როგორც ცნობილია, ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი სახელისუფლებო ორგანოების ყურადღების ცენტრში მოექცა. შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა ჩვენი დედასტადიონის პრობლემები, რასაც დღეს განსახილველად წარუდგენენ სამთავრობო კომისიას.

## ინტერტოტოს თასი
### მესამე ეტაპის განმეორებითი მატჩები

INTERTOTO CUP

პელისტერი (მაკედონია) — **სელტა (ესპანეთი)** 1-2 (1-3)
0-1 კონიაგო (52), 0-2 მენა (60), 1-2 მოვოროვსკი (74).

**ვოლფსბურგი (გერმანია)** — სედანი (საფრანგეთი) 2-1 (0-0)
1-0 აკონორი (33), 1-1 ნდიეფი (56), 2-1 აჯუ (79, პენ).

კალამატა (საბერძნეთი) — **ბლშანი (ჩეხეთი)** 0-3 (0-5)
კაპი (10), ტიტიხა (52), პაზდერა (74)

**შტუტგარტი (გერმანია)** — ლანსი (საფრანგეთი) 1-0 (1-2)
ბორდონი (6).

**აუსტრია (ავსტრია)** — ჩახლაული (რუმინეთი) 3-0 (2-2)
ვაგნერი (32), ლეიტნერი (63), დოსპელი (86).

**უდინეზე (იტალია)** — ოლბორგი (დანია) 1-2 (2-0)
0-1 გაარდე (24), 1-1 მუცი (31), 1-2 ბოიე (88).

ვაალვიკი (ჰოლანდია) — **ბრედფორდი (ინგლისი)** 0-1 (0-2) მილზი (81).

**ასტონ ვილა (ინგლისი)** — დუკლა (ჩეხეთი) 3-1 (0-0)
1-0 დაბლინი (8), 1-1 კულიჩი (21), 2-1 სტეილორი (56), 3-1 ნილისი (61)

**სიგმა (ჩეხეთი)** — სლავენი (ხორვატია) 2-0 (1-1)

ზალცბურგი (ავსტრია) — **სტანდარდი (ბელგია)** 1-1 (1-3)

ტატაბანია (უნგრეთი) — **ზენიტი (რუსეთი)** 1-2 (1-2)

**ოსერი (საფრანგეთი)** — როსტსელმაში (რუსეთი) 3-1 (2-0)

26 ივლისს და 2 აგვისტოს ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან.
სიგმა (ჩეხეთი) — ბლშანი (ჩეხეთი) — A.
შტუტგარტი (გერმანია) — სტანდარდი (ბელგია) — B.
ზენიტი (რუსეთი) — ბრედფორდი (ინგლისი) — C.
სელტა (ესპანეთი) — ასტონ ვილა (ინგლისი) — D.
აუსტრია (ავსტრია) — უდინეზე (იტალია) — E.
ოსერი (საფრანგეთი) — ვოლფსბურგი (გერმანია) — F.
ფინალში (8 და 22 აგვისტო) ითამაშებენ:
A გამარჯვებული — E გამარჯვებული
D გამარჯვებული — C გამარჯვებული
F გამარჯვებული — B გამარჯვებული.

# ქინქლაძისა არ იყოს, დემეტრაძის სატრანსფერო თანხასაც მისამართი ეძლება ანუ გაურკვეველი

**კვირას, კრწანის-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა სონღულაშვილმა ერთი შეხედვით სენსაციური გადაწყვეტილება მიიღო, გამოიტანა განაჩენი, რომლითაც თბილისის „დინამოს“ კლუბის პრეზიდენტ მერაბ რატიანს სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.**

### პრეზიდენტს ბუღალტერიც მიაყოლეს

თბილისში ელვისსისწრაფით გავარდა ხმა — საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ რატიანი და ბუღალტერი ნაზი მამიანი დააკავესო. ვითარების გასარკვევად გუშინ კრწანის-მთაწმინდის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა სონღულაშვილს ვეწვიეთ. მართალია, ყველაფერი არ გაუშიფრავს, მაგრამ შეძლებისდაგვარად ვითარებაში გაგვარკვია, ზოგიც ჟურნალისტური გამოძიებით დავადგინეთ. ცხადია, წინასწარ სრული ჭეშმარიტების დადგენა ძნელია, მით უმეტეს, სათანადო ორგანოებიც რახანია თბილისის „დინამოს“ სამეურნეო საქმიანობას იძიებენ და ბევრ ფაქტს თავად ვერ უპოვეს თავი და ბოლო.

სისხლის სამართლის საქმე №7499027, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი გიორგი ნებიერიძე იძიებს, აღიძრა თბილისის „დინამოს“ დირექტორატის მიმართ კრედიტის მოტყუებით მიღების ფაქტზე (საქართველოს სს კოდექსის 165-ე მუხლის მეორე ნაწილი).

მკითხველმა იცის, რომ „დინამოს“ კლუბში ამჟამადაც მიმდინარეობს რევიზია, რომლის მიზანი ფინანსური დარღვევების გამოაშკარავებაა. ჯერჯერობით ეს სამუშაო დასრულებული არ არის და, ცხადია, არც ფინანსური დარღვევების თაობაზეა შედგენილი საბოლოო აქტი; მიუხედავად ამისა, ზემოთ ნახსენებ სს საქმეში უკვე ფიგურირებს 77 ათასი ლარის მითვისების საკითხი. მკითხველისთვის რომ ნათელი იყოს, რაზეა ლაპარაკი, თავიდან დავიწყებთ.

### გამოძიების ვერსიით

როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს“ დახმარების მიზნით, სახელმწიფო მეთაურის ბრძანებულებით 1995 წელს კლუბს უსასყიდლოდ გადაეცა სს „მზიურის“ აქციების 35%, რათა ეს საწარმო აემუშავებინა. „დინამოს“ დირექტორატმა „ტი-ბი-სი“ ბანკიდან 400 000 დოლარი გამოიტანა სესხად. კლუბის პრეზიდენტის მ. ჟორდანიას ბრძანებით კრედიტის განკარგვა დაევალა მ. რატიანს. ამ უკანასკნელმა ნედლეულის შეძენის მიზნით, კლუბის სალაროდან 14 შემთხვევაში გაიტანა 502. 151,44 ლარი, საიდანაც 8 შემთხვევაში სს „მზიურის“ სალაროში შეიტანა 424.337,96 ლარი ანუ 77.813,75 ლარით ნაკლები.

აღსანიშნავია, რომ ამ თანხის მითვისებას მერაბ რატიანი კატეგორიულად უარყოფს, ისევე, როგორც „დინამოს“ ბუღალტერი ნაზი მამიანი.

გამოძიება სხვა ფაქტსაც ედავება მ. რატიანს. საქმე ეხება ფეხბურთელ გიორგი დემეტრაძის „დინამოდან“ ვლადიკავკაზის „ალანიაში“ ტრანსფერს. გარიგების მიხედვით, ოსურ მხარეს „დინამოსთვის“ 720.000 დოლარი უნდა გადაეხადა. სამართალდამცავთა მტკიცებით, ამ თანხიდან 130 000 დოლარი გადაირიცხა შვეიცარიის ერთ-ერთ ბანკში „დინამოს“ ანგარიშზე, 100 000 დოლარი — სს „მზიურის“ ანგარიშზე, 70 ათასი დოლარი მერაბ ჟორდანიას მითითებით გადაირიცხა გერმანიის ერთ-ერთ ბანკში ვლადიმერ გუცაევის სახელზე. გამოძიების მტკიცებით, „დარჩენილი 420 000 დოლარი რატიანმა ხელზე მიიღო და მიითვისა“.

მერაბ რატიანი კატეგორიულად უარყოფს ამ თანხის მითვისებასაც. „ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს, — ამტკიცებს რატიანის ადვოკატი როსტიაშვილი, — მეტიც, „ალანიას“ პრეზიდენტი ბათრაზ ბითაროვიც კატეგორიულად უარყოფს ფულის გადმოცემის ფაქტს. საიდან მოიგონა გამოძიებამ 420 000 დოლარის ფაქტი? დემეტრაძის ტრანსფერიდან აორთქლებულ თანხას გამოძიება რატიანს მიაწერს, მაშასადამე, ამ ბრალდებით, შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტმა რატიანის წინააღმდეგ სს კოდექსის 182 მუხლის მესამე ნაწილით აღძრა საქმე, რაც 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

20 ივლისს მერაბ რატიანი დააკავეს, როგორც ეჭვმიტანილი, ხოლო 22 ივლისს ოფიციალურად წაუყენეს ბრალდება, და ამუშავდა მართლმსაჯულების მანქანა...

### დავაპატიმროთ, არ დავაპატიმროთ – საკითხავი აი ეს არის?

გასულ უიქ-ენდებზე სამართალდამცავმა ორგანოებმა შესაშური მონდომებით იმუშავეს. ჯერ იყო, შაბათს, ბრალდების წაყენების შემდეგ, შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელობის საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა გოგი ნებიერიძემ, იმავე დღეს მიმართა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით, რათა მ. რატიანს აღმკვეთ ღონისძიებად შეეფარდოს პატიმრობა იმ მოტივით, რომ საქმე დიდი ოდენობით ფულადი სახსრების მითვისებას უკავშირდება, ადვილი შესაძლებელია, რომ თურმე, რატიანი დაემალოს მართლმსაჯულებას, გაანადგუროს ბუღალტრული დოკუმენტაცია, ზეგავლენა მოახდინოს მოწმეებზე და ა.შ. სასამართლოს სხდომაზე ბრალდებას მხარი დაუჭირა პროკურორმა ლაზარე სეხნიაშვილმა.

„თქვე ოჯახაშენებულებო, — მიმართა ბრალმდებლებს რატიანის ადვოკატმა როსტიაშვილმა, — 8 თვეა მიმდინარეობს გამოძიება და იგი არსად დაგმალვიათ, რატომ გგონიათ, რომ ახლა დაგემალებათ, თან სერიოზული კაცია, ცოლ-შვილიანი. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მტკიცებულებანი საქმეში არ არის — რატომ ითხოვთ ბრალდებულის პატიმრობაში აყვანას?“ სასამართლოზე წაიკითხეს სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტის ალექსანდრე ჩივაძის და თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის დირექტორის ნუკრი კაკილაშვილის შუამდგომლობა მ. რატიანის თავდებით გამოშვების თაობაზე.

### მოსამართლემ – არაო!..

ყველასი დიდი ხათრი მაქვსო, მაგრამ მ. რატიანს გამოძიების პერიოდში საპყრობილეში ჯდომა მოუწევს, უბრძანებია მოსამართლე მამუკა სონღულაშვილს, — „მიმაჩნია, რომ გამოძიების შუამდგომლობა დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს. საქმეში არსებობს მოწმეების ბ. ბითაროვის, ნ. მამიანის, ზ. გიოევის ჩვენებები, სს „მზიურში“ ჩატარებული რევიზიის აქტი, ს.კ. „დინამოს“ შემოწმების ადრინდელი აქტი, სხვა მონაცემები. ისინი იძლევიან საფუძველს ვივარაუდოთ, რომ დანაშაული ნამდვილად მოხდა“ — უთხრა დასასრულ „ლელოს“ კორესპონდენტს მოსამართლემ.

თითქოს ყველაფერი ნათელია, მაგრამ... რედაქციაში დაუკმაყოფილებლობის გრძნობით ვბრუნდებოდით. რამდენიმე შეუსაბამობა დავინახეთ ბრალდებაში და იმიტომ. შეიძლება ეს გრძნობა გაგვიჩნდა იქიდან, რომ შესაძლებლობა არ მოგვეცა გავცნობოდით „ალანიის“ პრეზიდენტის ბათრაზ ბითაროვის ჩვენებას — ნამდვილად გადაუხადა თუ არა მან დარჩენილი თანხა 420 000 დოლარი „დინამოს“ და პირადად ვის გადასცა ეს თანხა. ადვოკატი ამტკიცებს, რომ ასეთი ჩვენება საქმეში არ . არის, გამოძიება და მოსამართლე კი, პირიქით, ამ დოკუმენტს იშველიებს ბრალდების დასასაბუთებლად. მეორე — როცა კლუბის სამეურნეო საქმიანობის რევიზია არ დასრულებულა, რამდენად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბრალდებულმა 77 ათასი ლარი მიითვისა?

ასე თუ ისე, ბრალდებამ, უნდა ვივარაუდოთ, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ჭეშმარიტების დასადგენად, რაშიც, ცხადია, უდანაშაულობაც იგულისხმება. მთავარია, არ ავჩქარდეთ, დაე, „სამართლმა პური ჭამოს“.

**ჯემალ ჭიკაშვილი**

## ათასების ამბავი – ჯობი ერთ ადამიანზე ტყდება?




## ანელკა სამშობლოში ბრუნდება

ხმები რომ დაირხა ნიკოლა ანელკა „პარი სენ-ჟერმენში“ ბრუნდებაო, ფორვარდის ძმამ და აგენტმა ქვას შეუშვირეს თავი — ფეხბურთელი სამეფო კლუბში რჩებაო, და მაინც, ყოვლისმცოდნე ჟურნალისტები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ტრანსფერი დღე-დღეზე შედგება. ასე, ჟურნალ „პარიზიენის“ ცნობით, ვარსკვლავის დაბრუნებაში დაახლოებით 31 მილიონ დოლარს იხდიდა. კვირას ეს ცნობა ოფიციალურად დადასტურდა. პსჟ-ს მესვეურები იტყობინებიან, რომ ანელკას ახალ კლუბში წარდგენის ცერემონიალი ამ დღეებში მოხდება. მკითხველს შევახსენებთ, რომ თავისი კარიერა ფეხბურთელმა ამ კლუბში დაიწყო 1996 წელს. 1997 წლის იანვარში იგი „არსენალში“ გადავიდა, ხოლო იქიდან შარშან აგვისტოში 35 მილიონ დოლარად სამეფო კლუბში ამოყო თავი.

## იუგოსლავიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვუიედინ ბოშკოვს ვერაფრით აპატია ევრო-2000-ზე გამანადგურებელი მარცხი ჰოლანდიისაგან. თავიდან ბევრი ვარაუდობდა, რომ ბოშკოვის ადგილზე დანიშნავდნენ ნაკრების კაპიტან დრაგან სტოიკოვიჩს, მაგრამ მან კონტრაქტი გააგრძელა იაპონურ კლუბ „ნაგოია გრამპუსთან“ და მისი სამწვრთნელო კარიერის დაწყებაც მომავლისთვის გადაიდო. და აი, უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა, რომ ნაკრების ახალ თავკაცად დანიშნულია *ილია პეტკოვიჩი.* 55 წლის პეტკოვიჩი ეროვნული გუნდის მწვრთნელის ასისტენტი იყო მაშინ, როცა გუნდს მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატისათვის სლობოდან სანტრაჩი ამზადებდა. თავის დროზე პეტკოვიჩს 1968-74 წლებში ნაკრებში 43-ჯერ აქვს ნათამაშევი და ექვსი გოლი გატანილი.

## ფინანსური მაქინაციები

ხორვატიის ჩემპიონატის დაწყება საკმაოდ შეფერხდა. მიზეზი მეტად სერიოზულია. პირველი დივიზიონის კლუბების ნახევარი სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციებში გახვეული აღმოჩნდა, ზოგი მათგანი კი გაკოტრების პირასაა.

## ხელი ჩაიქნია

**39 წლის ლოთარ მათეუსმა, რომელიც ახლა ამერიკული ლიგის კლუბ „ნიუ-იორკ — ნიუ-ჯერსი მეტროსტარზში“ თამაშობს, ეტყობა, ამდენ მარცხს ვერ გაუძლო და ხელი ჩაიქნია ფეხბურთზე.**

**ფიქრობენ, რომ იგი ჯერ კიდევ კონტრაქტის ვადის გასვლამდე შეწყვეტს თამაშს ამერიკულ ლიგაში და სამშობლოში დაბრუნდება.**

## ბულგარეთის ნაკრების ფეხბურთელი – სამარაში

ბულგარეთის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, 34 წლის ზლატკო იანკოვი ახლა სამარაში ჩავიდა და „კრილია სოვეტოვში“ გამოსასვლელად ემზადება. ამ გუნდის მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი ხომ თავის მთავარ ნაკლად შედეგიანი თავდამსხმელის არყოლას მიიჩნევს.

## კონტრაქტი ოთხწლიანია

**საფრანგეთის არაერთგზის ჩემპიონ „სენტ-ეტიენთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი ახალგაზრდა უკრაინელმა მეკარემ მაქსიმ ლევიცკიმ, რომელიც აქამდე დიდი წარმატებით თამაშობდა ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცში“.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თანაგრძნობას უცხადებს მსაჯ-ინსპექტორს ნოდარ ოდიკაძეს დედის გარდაცვალების გამო.**

დიდი გუნდების მესაჭეები

# ერიქსონი – გრძელი გზა ვიწრობებით

ის, რომ ახლა რომის „ლაციო“ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბად ითვლება ფეხბურთის სამყაროში, პირველ რიგში შვედ მწვრთნელ სვენ-გორან ერიქსონის დამსახურებად მიაჩნიათ. რომ მისი თავდადებული მუშაობა არა, რომაელებს ასეთი პროგრესი ნამდვილად არ ექნებოდათ.

პირველად სვენ-გორან ერიქსონი იტალიაში 16 წლის წინ ჩავიდა და სამუდამოდ დარჩა. მისი ნავსაყუდელი „რომა“ იყო, არავის სჯეროდა, რომ სკანდინაველი იქ დიდხანს დარჩებოდა, ისე განსხვავდებოდა იგი იტალიელებისაგან. რომაელები მას, ასე გასინჯეთ, უემოციო კაცსაც კი უწოდებდნენ, ან ისეთს, რომელსაც, თუკი საერთოდ აქვს ემოციები, მათ სადღაც გულის სიღრმეში ინახავს. „რომას“ მესვეურები შვედისაგან მხოლოდ პირველ ადგილს მოითხოვდნენ, სხვა არაფერი, ჩემპიონობის გარდა, ხელს არ აძლევდათ. ისე კი, გუნდი მართლაც დიდებული იყო: ფალკაო, ტორინიო სერეზო, ჯანინი, კანტი... მაინც ვერ მიაღწია მიზანს, ვერ მოიპოვა სკუდეტო. რა გაეწყობოდა, ერიქსონმა „რომა“ დატოვა, მაგრამ დიდად არ დანანებია. საქმე ის არის, რომ შვედის აზრით, რომში ნამდვილი საგიჟეთი იყო, მწვრთნელის საქმეებში ხან ვინ ერეოდა და ხან ვინ. „ამ აზრით, წყნარი ვითარება „ფიორენტინაში“ მე გაცილებით უფრო მიზიდავდა“.

სულ მალე გამოირკვა, რომ ერიქსონს არც „იისფერები“ მოეწონა: „კარგი გუნდია, ლამაზად თამაშობს, მაგრამ მე არ მომეწონა მისი მოტივაცია, უფრო სწორად, მოტივაციის უქონლობა. რაც არ უნდა ლამაზად თამაშობდეს „ფიორენტინა“, ჯილდოები ყოველთვის სხვა კლუბებს რჩება!“ ერთი სიტყვით, „ფიორენტინას“ მესვეურები არასოდეს ისახავდნენ ამბიციურ მიზნებს, ეს კი მწვრთნელზე უარყოფითად მოქმედებდა.

მოკლედ, „იისფერ სიმაღლეებს“ სვენ-გორან ერიქსონმა ვერ მიაღწია. ეს გააკეთა მან მრავალი წლის შემდეგ იმავე ქალაქ რომში, ოღონდ, ამჯერად სხვა გუნდში — „ლაციოში“. აქ, მას კლუბის პრეზიდენტ სერჯიო კრანიოტის ყოველმხრივი დახმარება ჰქონდა. ეს ფინანსური მაგნატი „ლაციოს“ გასაძლიერებლად არავითარი თანხის ხარჯებს არ ერიდებოდა. ამაში ტურინისა და მილანის კლუბების მესვეურებსაც კი გადააჭარბა.

„ლაციოში“ მუშაობის პირველივე წელს ერიქსონმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია: გუნდი უეფას თასის ფინალში გავიდა, იტალიის თასს დაეუფლა, ქვეყნის ჩემპიონატში წაუგებელი მატჩების მეტად ხანგრძლივი და შთამბეჭდავი სერია ჰქონდა. გავიდა კიდევ ერთი წელი. 1998-99 წლების ჩემპიონატში თითქოს „ლაციოს“ სკუდეტო არსად წაუვიდოდა — შეჯიბრების დამთავრებამდე 6 ტური რჩებოდა, „ლაციო“ 6 ქულით იყო წინ. მაგრამ ფინიშზე უსიამოვნო ამბები მოხდა: „ლაციოს“ მექანიზმში რაღაცა მოიშალა, „მილანი“, რომელიც თითქოს ჩემპიონობაზე არც კი ფიქრობდა, გაიჭრა წინ და პირველ ადგილზე გავიდა. ყველაფერი წყალში ჩაიყარა... ხომ დასანანი მარცხია, მაგრამ




ერიქსონი რის ერიქსონი იქნებოდა, ამდენი ხნის ოცნებაზე რომ ხელი აეღო. მართლაცდა, რატომ უნდა აეღო ხელი. ჩემპიონობისთვის ბრძოლაზე გუნდს, სადაც ერთდროულად თამაშობდნენ (დავაკვირდეთ გვარებს!) ლუკა მარკეჯანი, პაოლო ნეგრო, სინიშა მიხაილოვიჩი, ალესანდრო ნესტა, სერჟიუ კონსეისაო, დიეგო პაბლო სიმეონე, პაველ ნედვედი, ხუან სებასტიან ვერონი, მათიას ხესუს ალმეიდა, ალენ ბოკშიჩი, ხოსე მარსელო სალას მელინაო, რობერტო მანჩინი, სიმონე ინძაგი. სხვათა შორის, ჩვენ კიდევ შეგვიძლია სხვა გვარების ჩამოთვლა!

წინა სეზონში განცდილი მარცხის მიზეზები ერიქსონს ასეთნაირად ესახებოდა: „ლაციომ“ სუსტი სტარტი აიღო (ასე იყო ადრინდელ ჩემპიონატშიც), შემდეგ კი იმდენი მოიგო, რომ კიდევაც დაავიწყდა, როდის დამარცხდა უკანასკნელად. აი ფინიშზე კი, ძალები აღარ ეყო! ერთი სიტყვით, საჭირო იყო გუნდის უკეთესი ფიზიკური მომზადება, ძალების უკეთ განაწილება მთელი სეზონის მანძილზე.

1999-2000 წლების სეზონი „ლაციომ“ წინა ჩემპიონატისაგან განსხვავებით, უკეთ დაიწყო. ახლა ერიქსონს ერთი რამისა ეშინოდა — სუსტი მსაჯობისა. აი მისი აზრი იტალიელი მსაჯების შესახებ:

„— მსაჯების შეცდომები პირდაპირ პროპორციულია თამაშის სისწრაფის გაზრდასთან. ფეხბურთი კალათბურთი არ გახლავთ, სადაც მსაჯის ერთი შეცდომა შეიძლება ბევრს არც კი ნიშნავდეს, რახან გუნდები ერთ მტჩში 100 და მეტ ქულასაც კი აგროვებენ. ფეხბურთში თითოეული გოლი წვალებით გადის, აქ ყველაზე გავრცელებული ანგარიშებია — 1-0, 1-1 და 2-1. ზოგჯერ ერთი შეცდომა მატჩის კი არა, მთელი ტურნირის ბედს წყვეტს... ამ პრობლემის ფესვებში ჩაწვდომა ძნელი არ არის. ფეხბურთელთაგან თითქმის არავინ, კარიერის დამთავრების შემდეგ, მსაჯი არა ხდება. არიან კარგი მსაჯები, არიან სუსტებიც, მაგრამ მათგან არავის არა აქვს პროფესიულ დონეზე გამოსვლის გამოცდილება. ნაწილობრივ ეს იმითაც აიხსნება, რომ ახლა ასაკობრივი ცენზი მსაჯთათვის, 45 წლამდე შემცირდა, ფეხბურთელს კი, თავის კარიერას 35-37 წლის ასაკში რომ ამთავრებს, ბევრი დრო აღარ რჩება ამ ახალ სფეროში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. ამავე დროს ყველა პირობაა იმისათვის, რომ რეფერის „სამუშაო ასაკი“ 50 წლამდე გაგრძელდეს. მსაჯების სავარჯიშო პროგრამებიც ხომ იცვლება და მსაჯებს საშუალება აქვთ ფიზიკური კონდიცია დიდხანს შეინარჩუნონ. ან შეიძლება ასეთი რამის გაკეთება: მსაჯის გადაადგილების შემცირება მინდორზე — საამისოდ ერთდროულად ორი მთავარი მსაჯი უნდა იყოს — თითოეულს მინდვრის ნახევარი დაეთმოს. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მატჩებში კი შეიძლებოდა კიდევ რამდენიმე დამატებითი მსაჯის დანიშვნა, რომლებიც სპეციალურად ადევნებდნენ თვალს საჯარიმო მოედნებს (!), გამოავლენდნენ ...ს და საეჭვოდ გატეხილ გოლებს“.

იცოცხლეთ, კარგი სურვილებია, მაგრამ მის განხორციელებასთან დღეს ძალიან შორსა ვართ.

ახლა კი, თუ იტალიის 1999-2000 წლების ჩემპიონატს გავიხსენებთ, ვთქვათ ისიც, რომ რამდენამე განმეორდა ქვეყნის წინა პირველობის ისტორია. ხომ გაუშვა ადრე „ლაციომ“ სკუდეტო ხელიდან, უკანასკნელ მომენტში გადაასწრო „მილანმა“. ახლა ბოლო ტურის წინ ტურინის უძლავრესი „იუვენტუსის“ გაჩემპიონებას თითქოს აღარაფერი აკლდა, მაგრამ მას ძალიან გაუჭირდა სტუმრად „პერუჯასთან“ თამაში. თანაც ისეთი კოკისპირული წვიმა მოვიდა, რომ მსაჯმა (ერიქსონი რომ ასეთ დიდ ყურადღებას აქცევს) არც კი იცოდა, რა ქვა ეხალა თავში, გაეგრძელებინა თუ არა მატჩი. ასე იყო თუ ისე, ეს შეხვედრა, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ტელეარხებით მთელი ფეხბურთის სამყარო ადევნებდა თვალს, „იუვენტუსის“ დამარცხებით დამთავრდა, რამაც „ლაციო“ გააჩემპიონა. ისე რომ, სვენ-გორან ერიქსონმა „გრძელი გზა“ ვიწრობებით გაიარა, მრავალი წელი იწვალა და მიზანს მაინც მიაღწია. გნებავთ, ამას გამართლება ვუწოდოთ, მაგრამ ფაქტი ხომ ცხადია.

იტალიაში, გნებავთ, სხვაგანაც, მწვრთნელი, თუნდაც ძალიან ცნობილი, როგორც უყვართ ხოლმე თქმა, საწყალი კაცია. გასაგებია, იგი შეიძლება ყოველ წუთს მოხსნან, მისი ახსნა-განმარტებები არავის სჭირდება. დიახ, ასეა, მაგრამ „ლაციოს“ მწვრთნელს, რომელმაც კლუბს 1974 წლის შემდეგ (26 წელი გავიდა!) მოუტანა ჩემპიონობა, უნდა ვიფიქროთ, კარგა ხანს არავინ შეელევა.

**ბიჟი ბამრეკელი**

მსოფლიო პირველობის სამხრეთამერიკული შესარჩევი ჯგუფი

# არგენტინელები ყველა მატჩს იგებენ!

ის, რომ არგენტინის ახლანდელი ნაკრები (მწვრთნელი მარსელო ბიელსა) მეტად ძლიერია, რაიმე ეჭვს არ იწვევს. ის, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს მოიპოვებს, უდავოა. არგენტინელებმა უკვე ჩაატარეს 5 მატჩი და დიდი უპირატესობით მოიგეს. ახლა მათ 15 ქულა და ბურთების ბრწყინვალე სხვაობა 14-2 აქვთ.

არგენტინის ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელი წამყვან ევროპულ კლუბებში თამაშობს. გადავხედოთ შემადგენლობას, რომელმაც იოლად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მოიგო უკანასკნელი მატჩი ეკვადორთან, რომელსაც თვით აქვს ფინალში გასვლის პრეტენზია: ბონანო, სენსინი, აიალა, სამუელი, სანეტი, სიმეონე, კილი გონსალესი (სორინი), ვერონი, ორტეგა, კრესპო (აიმარი), კ. ლოპესი, ამ მატჩში ისვენებდა ბატისტუტა, რომელიც სხვა დროს სისტემატურად თამაშობს ნაკრებში.

ეკვადორელებთან არგენტინელები, რაც უნდოდათ იმას აკეთებდნენ. უკვე მეორე წუთზე ორტეგამ ხელიდან გაუშვა კარის აღების მშვენიერი შესაძლებლობა, სულ ერთი წუთის შემდეგ კი ვერონმა ვერ გამოიყენა 11-მეტრიანი დარტყმა. პირველ ტაიმში კრესპომ გაიტანა გოლი, მეორეში კ. ლოპესმა – 2-0.

მეორე ადგილზეა ურუგვაის ნაკრები, რომელიც ბოლო წლებში უფერულად თამაშობდა. ამიტომ ამ ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებმა, რომ იტყვიან, უპრეცედენტო რამ განახორციელეს – ნაკრებს სათავეში ჩაუყენეს ...არგენტინელი! ვინც ამ ქვეყნების ფეხბურთელთა ურთიერთობას იცნობს! ამასთან, ეს მწვრთნელი გახლავთ თავისი, რბილად რომ ვთქვათ, მძიმე ხასიათით ცნობილი დანიელ პასარელა, დიქტატორული მიდრეკილების პიროვნება. ძნელი სათქმელია, რა მოხდება შემდეგ, მაგრამ ჯერჯერობით პასარელა ამართლებს დანაპირებს – მის ხელში ურუგვაელები მედგრად იბრძვიან. „რკინის დანიელი“ ფეხბურთში არ სცნობს ერთ რამეს, ხათრს რომ ეძახიან. მოთამაშეებმა მშვენივრად იციან, არ ითამაშებენ და... ივნისის დასაწყისში ურუგვაელებმა მნიშვნელოვანი მატჩი მოუგეს მონტევიდეოში ჩილელებს – 2-1 (ანგარიში გახსნა ურუგვაელმა დ. სილვამ, შემდეგ სამორანომ გაათანაბრა, ხოლო შემდეგ „იუვენტუსის“ მცველმა მონტერომ გადამწყვეტი გოლი გაიტანა). საინტერესოა, რომ მონტევიდეოს „სენტენარიოზე“ მატჩს 65 ათასი მაყურებელი ესწრებოდა – გულშემატკივრებმა მოიბრუნეს გული ურუგვაის ნაკრებზე. კიდევ უფრო უკეთ ჩაატარეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა გასვლითი მატჩი ბრაზილიელებთან 28 ივნისს რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანაზე“. საინტერესოა, რომ რაც ტეტრაკამპიონები მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩებს (მთელი ისტორიის მანძილზე!) საკუთარ მინდორზე ატარებენ, ისინი არასოდეს დამარცხებულან. ახლა კი ეს ტრადიცია კინაღამ დაირღვა. მატჩს 80 ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

რა თქმა უნდა, ღირს გუნდების შემადგენლობების გახსენება: ***ბრაზილია*** – დიდა, კაფუ, ანტონიო კარლოსი, ალდაირი, რობერტო კარლოსი, ემერსონ ფერეირა, ვამპეტა (ზე რობერტო), რივალდო, რონალდინიო (გილერმე), ფრანსა, საიო (ალექსი), ***ურუგვაი*** – კარინი, ტაისი, ლემბო, მონტერო, დ. როდრიგესი, პ. გარსია, ო'ნილი (ჯაკომაცი), რეკობა (კოელიო), ნ. ოლივეირა, დ. სილვა, გიგუ.

ურუგვაელებმა სწრაფად გახსნეს ანგარიში – დარიო სილვამ აჯობა ალდაირს, წაართვა ბურთი, ხოლო შემდეგ მეკარე დიდასთან პირისპირ დარჩენილმა გაიტანა გოლი. შემდეგში „სელესტამ“ პრესინგი გამოიყენა და საქმე იქამდე მივიდა, რომ მთელი ტაიმის მანძილზე ბრაზილიელებმა ერთხელაც ვერ დაარტყეს კარში. მეორე ტაიმი მასპინძლებმა უკეთ ჩაატარეს, თუმცა, უმატეს უხეშობასაც. თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე კოლუმბიელი მსაჯი რუისი წამოეგო ბრაზილიელ გილერმეს ილეთზე, რომელიც მეტოქის კარის სიახლოვეს „დიდი მსახიობური ოსტატობით“ წაიქცა და პენალტი დანიშნა. ურუგვაელთა ახალგაზრდა მეკარე ფაბიან კარინიმ (იგი ამ დღეებში „ლაციოში“ გადავიდა) მთელი შეხვედრა ჩინებულად კი წარმართა, მაგრამ ამჯერად რივალდოს დარტყმა ვერ მოიგერია – 1-1. „ცხადია, მე შედეგით უკმაყოფილო ვარ, – განაცხადა ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუქსემბურგომ, – მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი მეტოქეები დღეს მშვენივრად თამაშობდნენ და ქულა დამსახურებულად მოიპოვეს. მე მინდა მოვუწოდო ბრაზილიელ მაყურებლებს, მხარი დაუჭირონ ჩვენს გუნდს. დიახ, ჩვენ დღეს ყველაფერი ისე არ გამოგვივიდა, როგორც გვინდოდა, მაგრამ ძალზე ძნელია გამართული თამაში, როცა შენიანები გისტვენენ“.

რომ ბრაზილიის ნაკრებში ყველაფერი წესრიგში არ არის, ეს 18 ივნისის მატჩშიც გამოჩნდა, როცა ლუქსემბურგოს გუნდი სტუმრად დამარცხდა პარაგვაელებთან – 1-2. აქ ანგარიში უკვე მეშვიდე წუთზე პერედესმა გახსნა, რივალდომ 74-ე წუთზე საპასუხო გოლი გაიტანა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე კამპოსმა მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა.

სამხრეთ ამერიკის შესარჩევი ტურნირი ორწრიანია და ჯერ მთელი ბრძოლა წინ არის, თუმცა ექსპერტების აზრით, სამი წლის წინანდელი ამნაირივე ასპარეზობისაგან განსხვავებით, ამჯერად აშკარა აუტსაიდერები არ არიან. თვით ვენესუელის ნაკრებმაც კი, რომელიც ტრადიციულად სხვებზე უფრო სუსტად ითვლება, მეოთხე ტურში საკუთარ მინდორზე შეძლო ბოლივიის ნაკრების დამარცხება – 4-2.

ახლა კი გათამაშების ცხრილს დავაკვირდეთ.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არგენტინა | 5 | 5 | 0 | 0 | 14-2 | 15 |
| 2. ურუგვაი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 3. პარაგვაი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-7 | 9 |
| 4. კოლუმბია | 5 | 2 | 2 | 1 | 6-4 | 8 |
| **5. ბრაზილია** | **5** | **2** | **2** | **1** | **6-5** | **8** |
| **6. ეკვადორი** | **5** | **2** | **0** | **3** | **7-9** | **6** |
| 7. პერუ | 5 | 1 | 1 | 3 | 4-5 | 4 |
| 8. ბოლივია | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |
| 9. ჩილე | 5 | 1 | 1 | 3 | 6-9 | 4 |
| 10. ვენესუელა | 5 | 1 | 0 | 4 | 5-14 | 3 |

შესარჩევ ტურნირს უკვე ჰყავს თავისი სნაიპერებიც: 3-3 გოლი გაიტანეს ბატისტუტამ (არგენტინა) და რივალდომ (ბრაზილია)

შემდეგი მატჩები: ***25 ივლისი.*** ეკვადორი – კოლუმბია, ვენესუელა–ჩილე, ურუგვაი – პერუ; ***26 ივლისი.*** ბრაზილია – არგენტინა; ***27 ივლისი.*** ბოლივია – პარაგვაი.

**ბიჟი ბამრეკელი**



მეხუთე ტურში განიმტკიცეს ლიდერის პოზიციები არგენტინელებმა – მათ ეკვადორელები დაამარცხეს 2-0. ამ ფოტოზე გამოსახულია მომენტი, როდესაც კლაუდიო ლოპესს (№7) მეორე გოლი გააქვს მეკარე ხოსე სებალიოსის კარში.

**ნეპომნიაშჩი – ჩინეთის საუკეთესო მწვრთნელი**

ვალერი ნეპომნიაშჩი დროდადრო საზღვარგარეთიდან რუსეთში ბრუნდება ხოლმე, სამუშაოს ვერც ერთ კლუბში ვერ შოულობს და ისევ სადღაც მიემგზავრება.

ამ დღეებში გამოცხადდა, რომ ჩინეთის ჩემპიონატის პირველი წრის შედეგად №1 მწვრთნელად აღიარებულია ვალერი ნეპომნიაშჩი, თუმცა, მისი კლუბი „შენიანი“ მეექვსე ადგილზეა. ამავე კლუბის თავდამსხმელი სერგეი ნაგორნიაკი ჩინეთის საუკეთესო ლეგიონერად აღიარეს.

# გულიანები ფულიანების წინააღმდეგ

*პირველი გვერდიდან*

დაბრუნებულან. მათზე წინ იასპარეზეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა, რომლებიც გუშინ დაბრუნდნენ თბილისში. რედაქციაში გვეწვივნენ გამარჯვებული და პრიზიორები მწვრთნელ თამაზ ბენდიანიშვილთან ერთად.

**თამაზ ბენდიანიშვილი:** ორივე ჩემპიონატს სლოვაკეთმა უმასპინძლა. თავისუფალ ჭიდაობაში ხალიჩაზე გამოვიდა 34 ქვეყნის 200-ზე მეტი ჭაბუკი. საქართველოდან, უსახსრობის გამო, მხოლოდ სამი ბიჭი წავიყვანეთ და შინ სამივე მედლით დაბრუნდა. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა რუსთაველი თემურ მინდიაშვილი (85 კგ), რომლის ხარჯებს, ანუ ნასესხებ ფულს, თვით რუსთავი, კერძოდ, სს „რუსთავცემენტი" გაისტუმრებს.

● ***რამდენი ბრძოლა მოიგო თემურმა?***

— ხუთი, ცხადია, ფინალის ჩათვლით.

● ***ყველაზე ძლიერი ვინ იყო მათ შორის?***

— აზერბაიჯანელი იბრაჰიმოვი, რომელიც შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონია.

● ***მანამდე, რა წარმატებები ჰქონდა თემურს?***

— საქართველოს მრავალგზის ჩემპიონია, შარშანწინ ინგლისში V ადგილზე გავიდა ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში.

● ***დანარჩენ ორზე რას იტყვით?***

— კარგად გამოვიდა ბესიკ გუჩაშვილი (54). იგი საკმაოდ გამოცდილი მოჭიდავეა, მაგრამ ფინალში თავისი სტილისთვის ძალიან უხერხული მეტოქე შეხვდა — რუსეთელი ჩერნოვი და 2:4 დამარცხდა.

● ***ბესიკის სპორტულ ბიოგრაფიაში არის უკეთესი შედეგი?***

— წლევანდელი ახალგაზრდული ევროპის პირველობის მესამე პრიზიორია. თუ ვიტყვით, რომ ეს შედეგი თავისზე უფროს ასაკშია მოპოვებული, ცხადია, ურიგო არ არის.

● ***მესამე პრიზიორ მიხეილ ჩიქოვანზე რას იტყვით?***

— მიხეილი ჭაბუკთა შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორია. ახლაც ევროპაზე მესამე ადგილი ხვდა წილად. მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, თანაც მცირე უპირატესობით წააგო რუსეთელ თანატოლთან, რომელიც ჩემპიონი გახდა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში კი მიხეილმა 10:0-ზე სძლია საბერძნეთის წარმომადგენელს. ორივე სპორტსმენი თბილისის მერიის განათლების სპორტსკოლამ დააფინანსა (დირექტორი ა. გიორგობიანი) ამ სამმართველოს უფროსის მოადგილის ე. მაჩაიძის ხელშეწყობით.

● ***სად სწავლობენ ეს ბიჭები?***

— თემური ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის I კურსის სტუდენტია, ბესიკი გორში სწავლობს ფიზაღზრდის სპეციალობაზე, მიხეილმა წლეულს დაამთავრა ორს-ი და ემზადება ტექნიკურ უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

● ***წლეულს კიდევ გელით შეჯიბრებები?***

— არა. მაგრამ თუ ფული ვიშოვეთ, რუსეთი გვიწვევს ქვეყნის ღია პირველობაზე. უსახსრობა ძალიან გვაბრკოლებს. სლოვაკეთში გამგზავრების წინ ერთკვირიანი შეკრებაც ვერ გავახერხეთ. მოკლედ, ჩვენი ბიჭები გულანთებულები გადიან ხალიჩაზე და ტოლს არ უდებენ თანატოლებს, რომლებმაც საერთოდ არ იციან, არ არის ფულის პრობლემა.

## 1996-2000 წლებში ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში ოლიმპიური თამაშები, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები მონაწილეობისა და მოპოვებული შედეგების შესახებ

| წლები | ღონისძიებათა რაოდენობა: რესპუბლიკური | ღონისძიებათა რაოდენობა: საერთაშორისო | მონაწილეთა რაოდენობა: რესპუბლიკური | მონაწილეთა რაოდენობა: საერთაშორისო | ხარჯები ლარებში | ბიუჯეტის დავალიანება მათ შორის: სულ | ბიუჯეტის დავალიანება მათ შორის: [illegible] | მედლების რაოდენობა, ოლიმპიური თამაშები, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები: ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1996 | 40 | 59 | 3770 | 590 | 2.608.5 | ---- | ----- | 37 | 25 | 35 | 97 |
| 1997 | 122 | 147 | 8316 | 1332 | 2.602.0 | 24.5 | 20.5 | 49 | 40 | 49 | 138 |
| 1998 | 90 | 140 | 4977 | 1224 | 2.886.9 | 761.8 | 296.5 | 51 | 46 | 65 | 162 |
| 1999 | 49 | 84 | 1856 | 580 | 2.057.1 | 335.5 | 70.4 | 38 | 43 | 68 | 149 |
| 2000 6 თვე | 41 | 67 | 1180 | 478 | 1125,0 | 380.7 | 208.1 | 24 | 17 | 22 | 63 |

## გაჭირვებულთა ნუსხაში თემურ ჭყონიამ სპორტსმენები შეიყვანა

„კოკა-კოლას" პრეზიდენტი საქართველოში თემურ ჭყონია პირველი ბიზნესმენია ჩვენში, რომელმაც გადაწყვიტა მატერიალური შემწეობა აღმოუჩინოს გაჭირვებულ ადამიანებს. ზოგს სახელმწიფოს ნაცვლად ეს ფირმა პენსიას გადაუხდის, ზოგიერთი სოციალურ დახმარებას მიიღებს, 200 გაჭირვებულს, მაგალითად, კვარტალში ერთხელ 50-50 ლარს გადასცემენ, თვეში ორჯერ კი 200 კაცს, რომელთა შორის იქნებიან ხელოვნების, კულტურის, სპორტის, განათლების მუშაკები და სხვები. დაურიგდებათ კვების პროდუქტები. „კოკა-კოლას" ეს შემწეობა მანამ გაგრძელდება, ვიდრე სახელმწიფო სრულად არ უზრუნველყოფს თავის მოქალაქეებს.

„ბუმათე"



*თეიმურაზ კეკელიძისა (მარცხნივ) და ანდრეი შკალიკოვის ორთაბრძოლის მომენტი.*

## ჯეოსელის თასზე

# თბილისური საჩოგბურთო ფიესტა დასრულდა

კვირას ლეილა მესხის საჩოგბურთო აკადემიის კორტებზე დამთავრდა პროფესიონალ ვაჟთა თბილისის პირველი საჩოგბურთო ტურნირი ჯეოსელის თასზე. სპორტის ამ ელეგანტურ სახეობას მზით სავსე კორტები შვენის, მაგრამ ბუნების კაპრიზები ხშირად ნამდვილ გამოცდას უწყობს მოთამაშეებს. მაგალითად, უიმბლდონის „მტრად" ხშირ წვიმას ასახელებენ, რაც ხელს უშლის და აფერხებს ტურნირის მსვლელობას. ბუნებას მთლად არც თბილისის ტურნირის მონაწილეები გაუნებივრებია. ამ ორი კვირის განმავლობაში ჰაერის ტემპერატურა 39 გრადუსს აღწევდა, რაც გაუსაძლის პირობებს უქმნიდა ჩოგბურთელებსა და მაყურებლებსაც, მაგრამ, ვინც არაფრად ჩააგდო თბილისური ზაფხულის ხვატი, დიდი სიამოვნების მიღებასთან ერთად, აშკარად დიდი საჩოგბურთო ზეიმის თანამონაწილე გახდა, ის კი, რასაც ნამდვილი საჩოგბურთო დღესასწაული ჰქვია; ორმოცი-ორმოცდაათი წელი არ ყოფილა ჩვენს დედაქალაქში, უფრო სწორად, მას შემდეგ, აქ ჩოგნის დიდოსტატები ედუარდ ნეგრებეცკი, ნიკოლაი ოზეროვი, ალექსანდრე მეტრეველი, თომას ლეიუსი და სხვები რომ გამოდიოდნენ ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობების ტურნირებში. აქ „დევისის თასის" მონაწილე უცხოელი ჩოგბურთელების თამაშიც გვინახავს, მაგრამ ამდენი საზღვარგარეთელი მოთამაშე აქ არასდროს ყოფილა. სხვათა შორის, ერთეულთა თანრიგის ფინალისტს, ფრანგ დიმიტრი ლორინს გადამწყვეტი მატჩის დაწყებამდე საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ვლადიმერ გოგლიძემ შეახსენა: „მეორე ფრანგი ჩოგბურთელი ბრძანდებით ანრი კოშეს შემდეგ, რომელიც ამ კორტზე თამაშობს..." (!) ლეგენდარულ ა. კოშეს ღვაწლი, რაც მან ქართულ ჩოგბურთს დასდო, ძველი თაობის ჩოგბურთის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი...

ტურნირის მთავარი მოვლენები მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში მოხდა. აქ ორივე ტურნირში რეიტინგის მიხედვით, პირველ ნომრად განთესილმა რუსეთელმა არტიომ დერეპასკომ დაამტკიცა თავისი რენომე, ზედიზედ დაამარცხა თანამემამულეები ჯერ ევგენი სმირნოვი (6:1, 6:0), შემდეგ სერგეი პოზდნევი (6:1, 6:2) და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტის გზა გაცილებით რთული გამოდგა: მეოთხედფინალში რუმინელ არტემონ აპოსტო-ეფრემს მოუგო მეორე პარტია „ტაი-ბრეკით", ნახევარფინალში კი წინა ტურნირის გამარჯვებულ 19 წლის უკრაინელ ორესტ ტერეშჩუკს დაუპირისპირდა და გაიმარჯვა (6:4, 6:2). დამარცხებულს, რომელმაც წინა ტურნირი ორივე თანრიგში მოიგო შეჯიბრება ერთეულთა და წყვილთა, აშკარად გამძლეობა არ ეყო, ისე კი, სპეციალისტების აზრით, იგი საუკეთესო იყო ტექნიკური მომზადებით და ჩოგბურთის მოყვარულებს დიდხანს ემახსოვრებათ ეს მოთამაშე, განსაკუთრებით, მისი შეხვედრა ა. დერეპასკოსთან, რომელიც საუკეთესოდაა მიჩნეული.

ფინალი, რომ იტყვიან, უმტკივნეულოდ განვლო ა. დერეპასკომ. მას სულ 50 წუთი დასჭირდა მეტოქის ძლევისათვის — 6:1, 6:1.

დ. ლორინი ძალზე ნერვიულობდა და უნებლიე შეცდომებს უშვებდა, რამაც ა. დერეპასკოს საშუალება მისცა სრულიად დაუძაბავად გარჯილიყო. ასეთ დროს იტყვიან, მან კი არ მოიგო, დამარცხებულმა წააგო თამაშიო.

წყვილთა შეხვედრის ფინალში, სადაც რუსული წყვილი ა. დერეპასკო — კირილ ივანოვ-სმოლის წინააღმდეგ პირველი ტურნირის ფინალისტები ჩეხი იგორ ბრუკნერი და სლოვაკი მარტინ ჰრომეცი გამოდიოდნენ, უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. გამარჯვებული გამოვლინდა სამ პარტიაში, რომელიც „ტაი-ბრეკებით" აღინიშნა და იგი ანგარიშით 6:2, 6:7, 7:6 პირველებმა მოიგეს.

***ტურნირის გამარჯვებულებს 1900-1900, ხოლო ფინალისტებს 1350-1350 დოლარი ერგოთ პრიზად.***

***თბილისის პროფესიონალ ჩოგბურთელ-ვაჟთა ტურნირი ჯეოსელის თასზე ტრადიციული გახდება.***

ჯ. უნბიაძე

## კალათბურთი ● სიახლეები ჩვენთან და მეზობლებთან

# „ბასკომ" ევროპის აღმოსავლეთს, ჩრდილოეთი ამჯობინა

ვერ ვიტყვით, რომ „კორაჩის თასი", რომელიც ფიბა-ს ეგიდით ტარდება, დიდი პოპულარობით სარგებლობდეს მსოფლიო საკალათბურთო სამყაროში, ისევე, როგორც „ინტერტოტო" ფეხბურთში, მაგრამ ჩვენთვის, როგორც ევროპის სარბიელზე დამოუკიდებლად ახალფეხადგმულებისთვის ასეთი ტურნირებიც მნიშვნელოვანია. თუმცა, ბათუმის „ბასკოს" კალათბურთელთა გუნდმა ერთი და იგივე ტურნირიდან უკეთესი, ან უფრო პრესტიჟული შეარჩია და ჩრდილო ევროპის საკალათბურთო ლიგას მიმართა თხოვნით მათთან ასპარეზობის ნება დაერთოთ „კორაჩის თასზე".

ადრე აქ მოსკოვის ცსკა გამოდიოდა და პირველი გათამაშების გამარჯვებულიც გახდა. მოკლედ, ჩრდილოეთის ლიგამ თანდათან აიმაღლა ავტორიტეტი და საქმე იქამდეც მივიდა, რომ მეორე დივიზიონიც შეიქმნება წლევანდლიდან. „ბასკოს", ცხადია, მეორე დივიზიონში გამოუყვეს ადგილი. ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დაზუსტებული თუ ვისთან მოუწევთ ბათუმელებს პაექრობა. თუმცა ზოგიერთის ვინაობა ვიცით. ესენი არიან: უკრაინის „მაკ ოდესა", პოლონეთის „ანვილი", ბელარუსის „სბკ გროდნო – 93". მეორე დივიზიონის ბინადარნი პირველ დივიზიონში გადასვლისთვის იბრძოლებენ.

ცნობილი გახდა, რომ მატჩები მიმოსვლით არ ჩატარდება. მოეწყობა ტურები, რომლის მასპინძლობაც ბათუმსაც სურს, რაც, ეჭვიც არ გვეპარება, რეალობად იქცევა.

მიმომხილველი

# რუსეთის კლუბებს საიმედო სპონსორი ჰყავთ

**უცხოელი** ინვესტორები აქტიურად უჭერენ მხარს რუსეთის პირველი ლიგის პეტერბურგის „პულკოვოს" საკალათბურთო კლუბს, რომ მის ბაზაზე შეიქმნას ახალი კლუბი, რომელიც სეზონში აღარ გამოვა ევროპის საკალათბურთო ლიგის (ULEB) ევროლიგის ალტერნატიულ პირველობაზე. სპორტულ სააგენტო Interperformances ვიცე-პრეზიდენტმა ლუჩანო კოპიჩიონემ, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ინტერესებს ამ პროექტში დიდი თანხა ჩადო და განაცხადა: „ვფიქრობთ „პულკოვო" ზედგამოჭრილი ვარიანტია ფულის ჩასადებად. სანკტ-პეტერბურგში მართლაც შესაძლებელია სუპერკლუბის შექმნა, რომელიც მაღალი მიზნებისაკენ იქნება შემართული – როგორც რუსეთის ჩემპიონატში, ასევე ევროპაში. უკვე დავუკავშირდით რუსეთის ნაკრების წამყვან მოთამაშეებს და სრულიად შესაძლებელია, რომ მომავალ სეზონში ჩვენს გუნდში (მას სახელი შეეცვლება) ითამაშონ. მათ გარდა მოვიწვევთ რამდენიმე ნიჭიერ ახალგაზრდას".

ULEB უკვე ჩართო ეგრეთწოდებული „ნიფ-პულკოვო" ევროლიგის ალტერნატიული გათამაშების წინასწარ სიაში – „მეამბოხენი" დარწმუნებულები არიან, რომ პიტერის კლუბი ითამაშებს ამ ტურნირში. ამავე დროს, რუსეთის კალათბურთის ფედერაცია გადაჭრით უჭერს მხარს ფიბა-ს პოზიციას მის კონფლიქტში ULEB-თან, და გამოაცხადა, რომ ნებისმიერ გუნდს დისკვალიფიკაციას მისცემს (ესე იგი, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის უფლებას ჩამოართმევს) რუსეთის ნებისმიერ გუნდს, რომელიც ახალი ლიგის მომხრეებს შეუერთდება.

ამავე დროს ULEB ევროლიგაში აპირებს გამოსვლას კიდევ ერთი რუსული კლუბი – „ურალ-გრეიტი", მას მერე, რაც 99/2000 რუსეთის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ფიბამ არ ჩართო ევროთასის მთავარ „ოფიციალურ" გათამაშებაში. პერმის კლუბით კვლავ დაინტერესდნენ ალტერნატიული ლიგის ორგანიზატორები. „ურალ გრეიტის" გენერალური დირექტორი აპირებს სერიოზულად განიხილოს ეს წინადადება.

# მაგრად კი იჩხუბა, მაგრამ...

ევროპული და პანაზიური კრივის ასოციაციები მოქიშპე გაერთიანებებია. ისინი აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებში პროფესიულ რინგს აკონტროლებენ. ევროპული ასოციაციის №1 მოკრივე რუსი ანდრე შკალკოვია, ხოლო პანაზიურის — ჩვენი თანამემამულე თეიმურაზ კეკელიძე. მაინც, რომელია მათგან უფრო ძლიერი? ამ კითხვაზე პასუხი გასცა ჩემპიონთა ორთაბრძოლამ, რომელიც მაგნიტოგორსკში გაიმართა 3000 მაყურებლის თვალწინ.

„ლელოს" მოსკოველ კორესპონდენტს არკადი სმირნოვს საშუალება ჰქონდა ენახა ეს უაღრესად დაძაბული 12-რაუნდიანი ბრძოლა. იგი რომ დამთავრდა, იტყობინება სმირნოვი, დარბაზში მაყურებელთა სიმპათიები ორად გაიყო, ზოგი თვლიდა, რომ უფრო ძლიერად რუსი მოკრივე გამოიყურებოდა. მეორენი კი უპირატესობას ქართველ სპორტსმენს ანიჭებდნენ. მსაჯების ხმები თითქმის თანაბრად გაიყო და მაინც, სულ მცირე უპირატესობით გამარჯვება შკალიკოვს მიაკუთვნეს. მატჩი რევანში წლის ბოლოს გაიმართება.

# სტეფანია მწყობრში დგება

ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციით, ნბა-ში მოასპარეზე ქართველი ლეგიონერი ***ვლადიმერ სტეფანია*** კვლავ შეუერთდა თავის კლუბს „სიეთლ სუპერსონიკს", რომელიც სამხრეთ კალიფორნიაში გადის ახალი სეზონისათვის მზადებას. „სიეთლის" ცენტრალური თავდამსხმელი საუკეთესო იყო „პორტლენდთან" საკონტროლო მატჩში. მის ანგარიშზეა 12 ქულა და 7 ფარიდან ბურთის მოხსნა.

შეგახსენებთ, რომ მუხლის ტრავმის გამო სტეფანიამ შარშან ბევრი მატჩი გამოტოვა, ახლა კი ხორვატიაშიც სერიოზულად იმკურნალა თავის ფიზიოთერაპევტთან.



კასპაროვი



კრამნიკი

## კასპაროვ-კრამნიკი: ლონდონი. 7 ოქტომბერი

# სტატისტიკამ ყველაფერი იცის!

როგორც ცნობილია, გარი კასპაროვმა, რომელიც უდავოდ თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკედ ითვლება, თავისი წოდება სულ ბოლოს 1995 წელს დაიცვა ვიშვანათან ანანდთან მატჩში. ამ ხნის განმავლობაში კასპაროვთან მკვეთრად დაპირისპირებულმა ფიდემ უკვე ორჯერ ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატები ნოკაუტ-სისტემით (გაიმარჯვეს ჯერ ანატოლი კარპოვმა, შემდეგ კი ალექსანდრ ხალიფმანმა). იყო არაერთი პროექტი კასპაროვის ორთაბრძოლების მოწყობის შესახებ, ჯერ კარპოვთან (რომელსაც კასპაროვი ადრე ხუთჯერ შეხვდა დიდ მატჩებში), შემდეგ კი ალექსეი შიროვსა და ბოლოს იმავე ანანდთან. აქედან სხვადასხვა, ძირითადად ფინანსური, მიზეზის გამო არაფერი გამოვიდა.

და ახლა უკვე საბოლოოდ გადაწყდა საკითხი იმის შესახებ, რომ მატჩი გარი კასპაროვსა და ვლადიმირ კრამნიკს შორის, ბოლოს და ბოლოს, დაიწყება ლონდონში 7 ოქტომბერს და 16 პარტიისაგან შედგება. საერთოდ კი, თუ საჭადრაკო ექსპერტების უდიდესი უმრავლესობის აზრს გავითვალისწინებთ, დღეისათვის არის სულ სამი მოჭადრაკე, რომელსაც შეიძლება კასპაროვთან შეხვედრის უფლება ჰქონდეს, თუმცა რაიმე პირდაპირი შესარჩევი შეჯიბრებები ახლა არ ტარდება და თითქმის ყველაფერი მსოფლიო ჩემპიონის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ესენია იგივე კრამნიკი, ანანდი და შიროვი. ამასთან, დღეისათვის სწორედ რომ უპრიანია კასპაროვთან სწორედ კრამნიკის შეხვედრა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო კრამნიკის რეიტინგი (მეორე, მსოფლიოში კასპაროვის შემდეგ), არამედ ახალგაზრდა დიდოსტატის პირადი ანგარიშიც მსოფლიო ჩემპიონთან.

საინტერესოა, რომ კასპაროვს, რომელიც დიდი განსხვავებით ამარცხებს მსოფლიო თითქმის ყველა სუპერდიდოსტატს, კრამნიკთან საერთოდ არა აქვს რაიმე უპირატესობა. თუ არ ჩავთვლით სწრაფ და, მით უმეტეს, ელვისებურ პარტიებს, სულ კასპაროვი და კრამნიკი 24-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, აქედან კასპაროვმა მოიგო სამი, კრამნიკმა ასევე სამი, 18 ყაიმით დამთავრდა. მკითხველებს იმასაც შევახსენებთ, რომ ამ ორი წლის წინათ მათი დიდი მატჩი „ბლიცში" (5-წუთიან ჭადრაკში) დამთავრდა ყაიმით — 12:12. ამას მსოფლიო პირველობასთან არა აქვს არავითარი დამოკიდებულება, მაგრამ მაინც, მაინც... როცა კრამნიკი 1992 წელს კასპაროვის წინადადებით რუსეთის ნაკრებში შეიყვანეს, მსოფლიო ჩემპიონმა ისიც თქვა, ეს ყმაწვილი მე შემცვლისო, როდის?

კრამნიკის ასეთი ანგარიში კასპაროვთან მით უფრო საყურადღებოა, რომ ანანდი და შიროვი საერთოდ ვერ უძლებენ მსოფლიო ჩემპიონს. ყველაზე მეტად კასპაროვი ანანდს შეხვდა (რომელიც მსოფლიო პირველობაზე დიდ მატჩშიც დაამარცხა) — 44-ჯერ! ანგარიში ანანდისთვის ნამდვილად კატასტროფულია, რაც ინდოელს კასპაროვთან შეხვედრის ყოველგვარ სურვილს უკარგავს (ვიმეორებთ, შეხვედრები სწრაფ და ელვისებურ ჭადრაკში გათვალისწინებული არ არის): კასპაროვმა მოიგო 15, ხუთი წააგო და 24 პარტია ყაიმით დაასრულა. ასეთი უპირატესობა დიდოსტატთან, რომელსაც ზოგჯერ გენიალურსაც კი უწოდებენ, მეტად შთამბეჭდავია.

კასპაროვს უზარმაზარი უპირატესობა აქვს მსოფლიო ჩემპიონობის კიდევ ერთ პრეტენდენტ ალექსეი შიროვთან, რომელსაც ცხრაჯერ მოუგო, თვითონ ერთხელაც არ დამარცხებულა, 8 პარტია კი ყაიმით დასრულდა. საინტერესოა, რომ ასეთი ანგარიშის მიუხედავად, შიროვი სულაც არ იტეხს იხტიბარს და აცხადებს, რომ ცალკეული სატურნირო შეხვედრები სხვაა და მატჩი მსოფლიო პირველობაზე (რომელიც ვერა და ვერ შედგა) სულ სხვა. ეს ასეა, მაგრამ ცხრაქულიან უპირატესობას სად წაუხვალ, თუნდაც ისეთი ოპტიმისტი იყო, როგორიც შიროვია.

## „ტოტო-ლოტო"

### 28-ე ტირაჟის შედეგები 22-23.07.2000

### ლოტო 6-42

**3 19 20 22 30 38**

გათამაშებაში მონაწილეობდა 10042 ვარიანტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6რიცხვი | 0 | x | 29 294,40 ლ. | გადადის 89-29 ტირაჟში |
| 5რიცხვი | 0 | x | 188,30 ლ. | გადადის 89-29 ტირაჟში |
| 4რიცხვი | 9 | x | 27,80 ლ. | |
| 3რიცხვი | 228 | x | 1,90 ლ. | |

### სუპერ 7

**3 1 8 3 2 5 6**

| | | | |
|---|---|---|---|
| 3183256 | 50 000 ლარი | 256 | 50 ლარი |
| 183256 | 15 000 ლარი | 56 | 3 ლარი |
| 83256 | 5 000 ლარი | 6 | 50 თეთრი |
| 3256 | 500 ლარი | | |

### „ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

**212 121 XX2 1X2**

გათამაშებაში მონაწილეობდა 3494 ვარიანტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 | x | 5000,00 ლ. | გადადის 89-29 ტირაჟში |
| 11 შედეგი | 3 | x | 114,30 ლ. | |
| 10 შედეგი | 22 | x | 7,90 ლ. | |

### 29-ე ტირაჟის პროგრამა

### 29-30 ივლისი

### „ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

| | | |
|---|---|---|
| 1. | ლილი — მონაკო | 20-20-60 |
| 2. | ტულუზა — ბასტია | 30-40-30 |
| 3. | გენგამი — სენტ ეტიენი | 20-40-40 |
| 4. | ცსკა — სპარტაკი | 20-20-60 |
| 5. | ურალანი — ანჟი | 20-40-40 |
| 6. | როსტსელმაში — დინამო | 30-30-40 |
| 7. | ციურიხი — სენტ გალენი | 20-40-40 |
| 8. | ლუგანო — ლოზანა | 20-40-40 |
| 9. | ბაზელი — გრასჰოპერი | 40-30-30 |
| 10. | შტურმი — რიდი | 60-20-20 |
| 11. | ტიროლი — აუსტრია | 50-30-20 |
| 12. | ლასკი — მატერსბურგი | 40-30-30 |

29-ე ტირაჟის ბილეთები რეგისტრაციაში გაატარეთ 28 ივლისის ჩათვლით

## რა ხდება ქვეყანაზე

### პაჩესასი გაძარცვეს

„ურალ გრეიტის" ლიტველ გამთამაშებელს თომას პაჩესასს ჩამწარდა შვებულების დღეები, რომელსაც კალათბურთელი მშობლიურ ქ. ალიტუსში ატარებდა. იგი გვიან ღამით დაბრუნდა შინ, გააჩერა თავისი „მერსედესი" და სადარბაზოს მიაშურა. მას ალყა შემოარტყა ხუთმა უცნობმა, მიწაზე დასცეს და დაუწყეს ცემა კეტებით, შემდეგ წაართვეს მობილური ტელეფონი, მაჯიდან მოხსნეს შვეიცარიული საათი, ცდილობდნენ აეგლიჯათ ოქროს ძეწკვი, მაგრამ ვერ მოახერხეს — მსხვერპლი დაუსხლტათ, გავარდა ქუჩის განათებულ უბანზე. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა სადარბაზოსკენ და იპოვა თავისი ჩანთა, მაგრამ მანქანის გასაღები შიგ არ აღმოჩნდა. მისი აზრით, მომხდურებს მისი მანქანა აინტერესებდათ, როცა იგი მანქანასთან მივიდა, შენიშნა, რომ სიგნალიზაციის სისტემა შეცვლილი იყო — ეტყობა, ბოლო მომენტში შეუშალა ყაჩაღებს ვილაცამ ხელი „მერსედესის" მოტაცებაში, რომელიც 100 ათასი ლიტითაა (25 ათასი დოლარი) დაზღვეული.

### უტაქტობა ძვირად დაუჯდა

მინსკელი ჩოგბურთელი ნატალია ზვერევა დაჯარიმდა 670 გირვანქა სტერლინგით. ეს უიმბლდონის ტურნირზე მოხდა, სადაც მინსკელმა ანა კურნიკოვასთან ერთად წყვილთა ნახევარფინალში ამერიკელ დებ უილიამსების წინააღმდეგ დამარცხების შემდეგ, უხამსი ჟესტით მიმართა მაყურებელს.

## დევისის თასზე

### ფინალი: ავსტრალია — ესპანეთი

აშშ-ს ნაკრების მწვრთნელი ჯონ მაკინროუ შეშფოთებას გამოთქვამდა დევისის თასზე ესპანელებთან ნახევარფინალური მატჩის წინ, რადგან ტრავმ ის გამო უარი განაცხადეს თამაშზე როგორც პიტ სამპრასმა, ისე ანდრე აგასიმ.

მაკინროუს შიში სრულიად საფუძვლიანი გამოდგა: ესპანელებმა აშშ-ს ნაკრებს მოუგეს გამანადგურებელი ანგარიშით — 5:0.

ახლა დევისის თასის ფინალურ მატჩში ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ავსტრალიისა და ესპანეთის გუნდები.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**25 ივლისი, სამშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. კავკასია.* „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის ჩემპიონატი — სენტ-ეტიენი — ოლიმპიკი (14.00). ინგლისის ვესტ ჰემი — შეფილდ უენსდეი, (16.30), გერმანიის — ბაიერი — ჰერტა (21.25), შოტლანდიის გლაზგო რეინჯერსი — სელტიკი. ***ESPN.*** ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (15.00, 1.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი 18-წლიანთა შორის (12.30) სუმო. სუმოს დიდი ტურნირი (14.00), ფეხბურთი. საქველმოქმედო მატჩი, გერმანიიდან (15.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (19.00), ფეხბურთი. საერთაშორისო შეჯიბრება (23.00).

**26 ივლისი, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* „ფუტბოლი მუნდიალი" (11.25), *კავკასია.* „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის ჩემპიონატი — ოლიმპიკი — პარი სენ-ჟერმენი (13.15), გერმანიის ბაიერი — ჰერტა (15.25). შოტლანდის გლაზგო რეინჯერსი — სელტიკი (17.10), ჩემპიონთა ლიგის საკლასიფიკაციო რაუნდი, მე-2 ტური (21.00, 23.35), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (22.45). ***ESPN.*** ველოსპორტი. ტურ-დე-ფრანსი (16.30), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი (12.30), სუმო, სუმოს დიდი ტურნირი, იაპონიიდან (14.00). ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის საკლასიფიკაციო მატჩები (23.30), ევრო-2000-ის რჩეულები (1.30).

**27 ივლისი, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. კავკასია.* „მსოფლიო სპორტი" (18.00), „ვარსკვლავები" (21.00), ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის ჩემპიონატი — ოლიმპიკი — მონაკო (13.15), ჰოლანდიის — აიაქსი — პსვ ეინდჰოვენი (20.40), გერმანიის — ვოლფსბურგი — ჰამბურგი (0.05), ჩემპიონთა ლიგა (15.10, 17.25), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (16.35), ლატვიის „საფეხბურთო გეოგრაფია" (22.35), ***ESPN.*** ფეხბურთი. „მსოფლიო ფეხბურთი" (16.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (12.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00).

## „კასპაროვის კლუბი" — მეორე ადგილზე

ისრაელში ყოველ წელს ტარდება ქვეყნის გუნდური ჩემპიონატი 12 უძლიერესი კლუბის მონაწილეობით (5 ვაჟი და 1 ქალი).

წლეულს დიდი ინტერესი გამოიწვია ახალი კოლექტივის, „კასპაროვის კლუბის" მონაწილეობამ. აი, მისი განაცხადი: თვით მსოფლიო ჩემპიონი კასპაროვი (გუნდებში უცხოელების რაოდენობა შეზღუდული არ არის), გელფანდი, იუდით პოლგარი, კორჩნოი, ფსახისი, სოფია პოლგარის მეუღლე იონა ქოსაშვილი, ქალთა დაფაზე — სოფია პოლგარი.

ასეთი შემადგენლობის მიუხედავად, „კასპაროვის კლუბი" მეორე ადგილზე გავიდა, ჩემპიონი კი ქალაქ ბეერ-შევას გუნდი გახდა, სადაც პირველ დაფაზე ახალგაზრდა დიდოსტატმა ბორის ავსუხმა ყაიმს მიაღწია კასპაროვთან.

## კროსვორდი №57



**თარაზულად:** 6. ფეხბურთის სამშობლო, 9. ის, ვინც შეჯიბრების დაწყების ნიშანს იძლევა, 10. დრო, დროთა ვითარება, 11. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ებრაელი ფეხბურთელი, 12. სამბოში საქართველოს ნაკრების გუნდის უფროსი მწვრთნელი, 13. ერთ-ერთი დიდი საერთაშორისო პრიზი, რომელიც თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა მოიპოვა, 14. ნიჩბოსნობის ინვენტარი, 17. ლეგენდარული ბასკი ფეხბურთელი, 18. ცნობილი იტალიელი ფეხბურთელი, 21. სპორტსმენისათვის წაქეზება, ბიძგი, აღმძვრელი მიზეზი, 22. მიუნხენის საფეხბურთო კლუბი, 24. წარსულში ცნობილი ვაჟი ჩოგბურთელი, 27. მძლეოსნობის ინვენტარი, 28. წარსულში ცნობილი ფეხბურთელი — მეკარე, მწვრთნელი, 29. დაცვაში მოთამაშე, 30. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. თბილისის დინამოს ფეხბურთელი, 2 ზღვის სანაპიროზე დასასვენებელი, 3. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, მწვრთნელი, 4. ერთი ხელი თამაში ჭადრაკში 5. ილეთი ჭიდაობაში, 7. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 8. ჩოგბურთის მოედანი, 11. ინგლისის ცნობილი საფეხბურთო კლუბი, 13. ფალავნებით ცნობილი რაიონი ქართლში, 15. წარსულში თბილისის „დინამოს" რუსი ფეხბურთელი, 16. მძლეოსანი ქართველი ქალი, 1952 წ. ოლ. თამაშების პრიზიორი, 19. მიზნის მისაღწევად ალალბედზე წასვლა, სახიფათო მდგომარეობაში ჩავარდნა, 20. სპორტის სათამაშო სახეობა, 21. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 23. ერთგვარი ჯარიმა კალათბურთში, 25. ცნობილი ამერიკელი თავ. სტილის მოჭიდავე, აწ გარდაცვლილი. 26. შედეგი ჭადრაკში.

### «კროსვორდი» №56-ის პასუხები:

**თარაზულად:** 7. კახიაშვილი, 8. ჩხაიძე, 9. შირერი, 10. ბობანი, 11. ალამი, 12. კუდინოვი, 13. ილი, 14, კვერენჩხილაძე, 19. ლომიძე, 21. ალპინიზმი, 22. ჩუი, 23. კალოევი, 25. სამბო, 26. რივალდო, 29. ონო, 31. კინი, 32. ტრაპატონი. **შვეულად:** 1. აკრობატიკა, 2. თილისმა, 3. დვირი, 4. უიმბლდონი, 5. კარნევალე, 6. ჩელებაძე, 15. გაზაევი, 16. ლოვჩევი, 17. ვილი, 18. ჩემპიონი, 20. კრესპო, 23. კოლერო, 24. ირვინი, 27. ლუისი, 28. ტაპი, 30. ნოა.

## საჭადრაკო ამოცანა

### ო. მამულაშვილი



შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლa1! 1. ...მფd4 2. b4X.
1. ...მფb6 2. ლa7X.
1. ...მფb4 2. ლa3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.